პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კ-ის და ც აკ-ის ორგანო

№ 54 (5155) | სამშაბათი, 8 მარტი 1938 წ. | ფასი 10 კაპ.

საბჭოთა კავშირში, სადაც განხორციელებულია სოციალიზმის დიადი პრინციპები, აღბეჭდილი სტალინურ კონსტიტუციაში, ქალი — საზოგადოების თავისუფალი და თანასწორუფლებიანი წევრია პოლიტიკური და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა დარგში და ოჯახურ ყოფაცხოვრებაში.

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის დადგენილებიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

მემარჯვენე-ტროცკისტი ბანდიტები — ომის გამჩაღებელნი

მემარჯვენე-ტროცკისტი ბანდიტები და პროვოკატორები გამოაშკარავებული არიან მთელი მსოფლიოს მშრომელთა წინაშე, როგორც მუშათა კლასისა და გლეხობის უბოროტესი მტრები, როგორც ფაშიზმის მოწინავე რაზმი, როგორც ჯალათთა და ფარულ მკვლელთა ხროვა. დიდიხანია ჩამოგლეჯილი აქვს ნიღაბი ობერ-ბანდიტ ტროცკის, და მსოფლიოში არ მოიპოვება კაცი, უფრო საძულველი ყველა პატიოსანი მშრომელისათვის, ვიდრე ეს საზიზღარი და გამყიდველი გარეწარი, რომელიც ტროცკიზმის გამოაშკარავებისათვის შურს იძიებს სოციალიზმისა და მუშათა კლასისადმი მძვინვარე სიძულვილით.

„მემარჯვენე - ტროცკისტული ბლოკის" პროცესს უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს მთელი საერთაშორისო პროლეტარიატისათვის, იმიტომ რომ იგი დოკუმენტალური მონაცემების საფუძველზე, უცილობელი ფაქტების საფუძველზე დამთავრებულად ხატავს ტროცკისტული გამცემლობის სურათს.

მემარჯვენე - ტროცკისტები — ესენი არიან მთელი კაპიტალისტური სამყაროს დაზვერვებისა და ოხრანკების სამსახურში მყოფი ჯაშუშები და პროვოკატორები. ისინი გენერალური შტაბების დავალებებს ასრულებენ. ისინი მოქმედებენ ყველაზე საზიზღარი, ყველაზე ბინძური და სისხლიანი ხერხებით ყველგან, სადაც მზადდება ხალხებზე თავდასხმა, სადაც კაპიტალისტი მტაცებლები დანაშაულებრივ ავანტიურებს იწყებენ.

მემარჯვენე-ტროცკისტ ჯაშუშთა და პროვოკატორთა ყველაზე მრავალრიცხოვანი რაზმი მოქმედებდა ფაშისტურ და სხვა კაპიტალისტურ დაზვერვათა დავალებებით საბჭოთა კავშირში, როგორც იმ ქვეყანაში, რომელიც ყველაზე საძულველია ფაშიზმისათვის, როგორც გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყანაში, რომელიც სამშობლო გახდა მთელი მსოფლიოს მშრომელთათვის. მაგრამ თავისი ბინძური კვალი ტროცკისტმა ბანდიტებმა დასტოვეს და სტოვებენ ყველგან, სადაც ფაშიზმი ცდილობს გაანადგუროს მუშათა მოძრაობა, ხალხთა დამოუკიდებლობა, დემოკრატიის ნაშთები.

„მემარჯვენე - ტროცკისტული ბლოკის" პროცესზე უცილობლად დადასტურებულია, რომ ბანდიტური ორგანიზაცია თავის წარმოშობას უნდა უმადლოდეს იმ ფულს, რასაც ტროცკი კრესტინსკის საშუალებით გენერალ სექტისაგან ღებულობდა ჯაშუშური სამსახურის გაწევის სამაგიეროდ. ტროცკის უშუალო კავშირურთიერთობა გერმანიის გენერალურ შტაბთან და გერმანიის დაზვერვასთან ჯერ კიდევ 1921 წელს იწყება.

თუ რა იოლად ამყარებდნენ ტროცკი და ტროცკისტები ჯერ კავშირურთიერთობას უცხოეთის სახელმწიფოთა დაზვერვებთან, ხოლო შემდეგ სამსახურშიაც უდგებოდნენ მათ, ამას მოწმობს რაკოვსკის ჩვენება, ხოლო კიდევ უფრო მეტად მოწმობს თვით პიროვნება ამ ძველი, სულით ხორცამდე გახრწნილი ჯაშუშისა და პროვოკატორისა. რაკოვსკი—ეს არის ტროცკისტული ბანდის ერთერთი უთვალსაჩინოესი მეთაური, რადეკისა და ტროცკის უახლოესი მეგობარი და თანამზრახველი. ამ საზიზღარ ადამიანზე სრული უფლებით შეიძლება ითქვას: აი ტიპიური ტროცკისტი.

რაკოვსკის წარსული ბნელი და საეჭვოა. არის საბუთები, რომ იგი უკვე 1915 წელს გერმანიის ჯაშუში იყო. იგი თვითონ განსაზღვრავს თავის ჯაშუშურ სტაჟს ინგლისის დაზვერვაში 1924 წლიდან. იაპონიის ჯაშუშად იგი 1934 წელს გახდა. იგი ხალისით ასრულებდა თავისი ბატონების დავალებებს და თავისი შეფის—ბანდიტ ტროცკის დირექტივებს. იგი აკეთებდა ყველაფერს, რაც კი მასზე იყო დამოკიდებული, რათა გაემწვავებინა ურთიერთობა საბჭოთა კავშირსა და სხვა სახელმწიფოებს შორის. იგი აჩაღებდა ომს თავისი ძალღონის მიხედვით. იგი ცრუობდა და ცილსა სწამებდა საბჭოთა ქვეყანას, მუშათა კლასს.

ტროცკის კავშირურთიერთობა გერმანიის დაზვერვასთან მიეკუთვნება ჯერ კიდევ 1921 წელს—ინგლისის დაზვერვის აგენტად იგი 1926 წლიდან გახდა. ინგლისის დაზვერვის — „ინტელიჯენს-სერვისის" დახმარებით, იგი ამზადებდა თავის გაქცევას ალმა-ატიდან ჩინეთში. ამგვარი დახმარება ტროცკიმ უხვად აანაზღაურა თავისი ბანდიტური საქმიანობით. უჩინარი ხელი მფარველ - ანგელოსებისა უცხოეთის დაზვერვებიდან მას შემდეგ უზრუნველჰყოფს ტროცკისათვის ბინასა და თავშესაფარს სხვადასხვა კაპიტალისტურ ქვეყნებში, ამარაგებს მას სახსრებით, აწყობს გამყიდველ პრესაში მის დაცვას—პრესის პატიოსან ორგანოებში მხილებისაგან.

როგორიც ტროცკია, ისეთებივე არიან მისი თანამზრახველნი, თანამონაწილენი უსაზიზღრეს დანაშაულობებში. მათი პოლიტიკური და მორალური სახე სავსებით გამოაშკარავებულია სასამართლოში. მათგან რამდენიც კაცია, იმდენი პროვოკატორია ძველი სტაჟით, ადამიანებთან ურთიერთობაში ბინძური არამზადა, მეტნაწილად მკვლელი, მომწამვლელი. „მემარჯვენე-ტროცკისტული ბლოკის" პროცესზე საბჭოთა ქვეყნის გამოხმაურებებში შეერთებულია აღშფოთება და ზიზღი. მთელი საბჭოთა ქვეყნის წინაშე სავსებით გაშიშვლებულნი დგანან მშრომელთა მტრები, არა მარტო საშიშნი, გულქვანი, საზიზღარნი, არამედ უსაზღვროდ ბინძურნიც, რომელნიც ამაზრზენი არიან თავიანთი კანიბალიზმით, რომელნიც თავის გარშემო აყენებენ ადამიანის გახრწნის აუტანელ სუნს

სწორედ ყველა ამ თვისებებმა, კრიმინალურ - პოლიტიკურმა და მორალურმა, გახადეს მემარჯვენე-ტროცკისტები ასეთ ძვირფას მასალად პროვოკაციისათვის, ომის გაჩაღებისათვის, ფაშიზმის უსაზიზღრეს დანაშაულობათათვის. არავის არ ეხერხება ისე შენიღბვა, როგორც მათ. არავინ არ დაუფლებია ცინიკური ორგულობის ოსტატობას იმ ზომით, როგორც ისინი.

მთელი მსოფლიოს წინაშე მჟღავნდება ახლა ბუხარინების, კრესტინსკების, რიკოვების და დანარჩენ მემარჯვენე-ტროცკისტთა საზიზღარი, გამცემლური, ბანდიტური საქმიანობა. ისინი ჰყიდდნენ სამშობლოს, ვაჭრობდნენ მისი თავდაცვის სამხედრო საიდუმლოებებით, ისინი იყვნენ ჯაშუშები, დივერსანტები, მავნებლები, მკვლელები, ქურდები,—და სულ იმისათვის, რომ დახმარებოდნენ ფაშისტურ მთავრობებს დაემხოთ საბჭოთა მთავრობა, დაემხოთ მუშებისა და გლეხების ხელისუფლება, აღედგინათ კაპიტალისტებისა და მემამულეების ხელისუფლება, დაენაწილებინათ საბჭოთა ხალხის ქვეყანა, ჩამოეშორებინათ ნაციონალური რესპუბლიკები და გადაექციათ ისინი იმპერიალისტთა კოლონიებად. ჩაიფუშა მათი შავი განზრახვა. და არასოდეს არ ასრულდება მათი ბინძური ზრახვები ჩვენი სამშობლოს მიმართ!

მაგრამ ესპანეთში იგივე ბუხარინები და რიკოვები, იგივე კრესტინსკები და რაკოვსკები, მხოლოდ სხვა სახელებით, მაგრამ ფაშისტთა ატამანის ტროცკის იმავე საზიზღარი ხელმძღვანელობით ეხმარებიან გერმანიისა და იტალიის ფაშისტურ ურდოებს, ეხმარებიან მეამბოხე გენერალ ფრანკოს ბანდებს ჰფლითოს ნაწილებად, სტანჯოს, აწამოს გმირი ესპანელი ხალხის ქვეყანა. ტროცკისტები ასრულებენ იქ თავიანთ ბინძურ მუშაობას ჯაშუშებისას. ისინი ფაშისტურ დაზვერვათა დავალებებით ცდილობენ დაარღვიონ თავდაცვა, აწყობენ „მეხუთე კოლონებს". ისინი ცრუობენ, ეწევიან ცილისმწამებლობას, შეაქვთ შფოთი ზურგში. ისინი ასრულებენ სახელდობრ იმ მუშაობას, რის კეთებასაც ჩვენში აპირებდნენ ბუხარინები და რიკოვები, კრესტინსკები და რაკოვსკები იმ შემთხვევაში, თუ მათი დახმარებით მოხდებოდა ფაშისტთა თავდასხმა ჩვენს ქვეყანაზე.

და იმასვე აკეთებენ ჩინეთში იგივე ბუხარინები და რიკოვები, იგივე კრესტინსკები და რაკოვსკები, მხოლოდ სხვა სახელებით, მაგრამ იმავე ობერ-ბანდიტ ტროცკის ხელმძღვანელობით. ჯერ კიდევ 1934 წელს უძველესი ტროცკისტი პროვოკატორი და ჯაშუში რაკოვსკი აწვდიდა ტროცკის იაპონიის დაზვერვის დირექტივას: შეექმნათ „ინციდენტები" ჩინეთში, რათა მოემზადებინათ იაპონიის თავდასხმა. ამ დირექტივით მუშაობენ ახლაც ჩინელი ტროცკისტები. ისინი ჰყიდიან ჩინელ ხალხს, ვაჭრობენ მისი სისხლით,—როგორც ჰყიდდა საბჭოთა ხალხის სისხლს ბანდიტების ხროვა, რომელიც ახლა მოსკოვში საბრალდებო სკამზე ზის.

მემარჯვენე-ტროცკისტი ბანდიტები და პოლიციის ჯაშუშები—ეს ერთი ფაშისტური ბლოკის ორი მხარე როდია. ესენი არიან ფაშისტები ორი სახით. ისინი არიან ტროცკისტები, ისინივე არიან ფაშისტი ჯაშუშებიც. „მემარჯვენე-ტროცკისტული ბლოკის" პროცესმა ეს დაამტკიცა სიზუსტით, რომლის წინააღმდეგაც უძლური არიან ფაშისტ-ტროცკისტი მჯღაბნელები.

„მემარჯვენე - ტროცკისტული ბლოკის" პროცესი მთელ მსოფლიოს უჩვენებს, თუ რა საფრთხეს წარმოადგენს ყველა ქვეყნისა და ხალხებისათვის, რომლებსაც ომი არა სურთ, ომის გამჩაღებელთა ტროცკისტული ორგანიზაცია ფაშისტურ დაზვერვათა სამსახურში. საბჭოთა ქვეყნის მუშებმა, გლეხებმა, ინტელიგენტებმა, რომლებსაც მოეპოვებათ საბჭოთა დაზვერვის რკინისებური ბოლშევიკური ორგანოები და რომლებიც შემჭიდროებული რიგებით გაერთიანდნენ ლენინ-სტალინის პარტიის გარშემო, კისერი მოუგრიხეს მუშათა კლასის საშიშ მტრებს, ფაშიზმის აგენტებს. სოციალიზმის ქვეყანაში არ არის და არც იქნება ადგილი ამ საზიზღარი არამზადებისათვის. ბოლშევიკური დაზვერვა და საბჭოთა სასამართლო გახურებული შანთით ამოსწვამენ ჯაშუშებს, პროვოკატორებს, დივერსანტებს, მავნებლებს. სიკვდილი მოელის ყოველ არამზადას, რომელიც ხელს აღმართავს ჩვენს ქვეყანაზე, ჩვენს ხალხზე.

მაგრამ ჩვენ ერთი წუთითაც არ დავივიწყებთ, რომ ფაშისტური დაზვერვები გულმოდგინედ ჰკრებენ და იღებენ ადამიანთა ყოველგვარ ნაგავს, ყოველგვარ ტროცკისტულ სიბინძურეს, რათა ჩვენს ზურგში გამოგზავნონ, და რომ ომის ტროცკისტი გამჩაღებლები დღემდე თავშესაფარს პოულობენ იმ ქვეყნებშიც კი, რომელთა მთავრობები სიტყვიერად აცხადებენ ფაშისტთა სამშვიდობო მისწრაფებების შესახებ და თავხედი აგრესორებისათვის საკადრისი პასუხის გაცემის აუცილებლობის შესახებ. ყველა ქვეყნის მშრომელებმა უნდა იცოდნენ, რომ ტროცკიზმი—ეს არის მხოლოდ ერთერთი სახელი თვით ყაჩაღური ფაშიზმისა, ნიღაბი ჯაშუშობისათვის, შირმა პროვოკაციებისათვის.

„პრავდის" მოწინავე, 7/III.

ქალთა საერთაშორისო დღის— 8 მარტის შესახებ

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის დადგენილება

წელს სრულდება ოცდახუთი წლისთავი ქალთა საერთაშორისო დღის დღესასწაულობისა ჩვენს ქვეყანაში. სსრ კავშირის მშრომელნი 8 მარტს — ქალთა საერთაშორისო კომუნისტურ დღეს ხვდებიან ბოლშევიკების პარტიის და საბჭოთა ხელისუფლების ირგვლივ მშრომელთა მძლავრი დარაზმვის პირობებში, რაც მოწმობს საბჭოთა ხალხის შინაგან მორალურ და პოლიტიკურ ერთიანობას.

საბჭოთა კავშირში, სადაც განხორციელებულია სოციალიზმის დიადი პრინციპები, აღბეჭდილი სტალინურ კონსტიტუციაში, ქალი — საზოგადოების თავისუფალი და თანასწორუფლებიანი წევრია პოლიტიკური და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა დარგში და ოჯახურ ყოფაცხოვრებაში.

საბჭოთა ქალები მუშაობენ სოციალისტური მშენებლობის ყველა დარგში. ჩვენი ქვეყნის საწარმოებსა და დაწესებულებებში მუშაობს 9 მილიონზე მეტი ქალი — სსრ კავშირის ყველა მუშისა და მოსამსახურის მესამედზე მეტი.

საბჭოთა ქალის წინაშე ფართოდ არის გახსნილი სკოლების, უმაღლესი სასწავლებლების კარები. 1936-1937 სასწავლო წელს დაწყებითსა და საშუალო სკოლებში მოსწავლე გოგონების რიცხვმა მიაღწია 13 მილიონს, ხოლო უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტქალთა რიცხვი შეადგენს სტუდენტთა საერთო რიცხვის 41 პროცენტს. სპეციალისტ - ქალთა მრავალრიცხოვანი კადრები მუშაობენ სახალხო მეურნეობის ყველა დარგში, კულტურის დარგში. მარტო მსხვილ მრეწველობაში 1937 წელს მუშაობდა დაახლოებით 100 ათასი ქალი - ინჟინრები და ტექნიკოსები; ჩვენს ქვეყანაში არის დაახლოებით 50 ათასი ექიმი - ქალი.

განვლილი წელი ღირსშესანიშნავია საბჭოთა ქალების საზოგადოებრივი აქტივობისა და პოლიტიკური შეგნებულობის ახალი ზრდით, ქალების საბჭოთა, პროფესიული, პარტიული და კომკავშირული აქტივის ახალი კადრების ზრდით. ამ ზრდის მკაფიო მაჩვენებელია როგორც მშრომელ ქალთა უზარმაზარი მასების მონაწილეობა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს საარჩევნო კამპანიაში და თვით არჩევნებში, ისე უმაღლეს საბჭოში დიდი რიცხვის—189 დეპუტატი ქალის არჩევა. ყოველივე ეს მოწმობს საბჭოთა ქალის ისეთ ფართო მონაწილეობას სახელმწიფოს მმართველობაში, როგორიც არცერთ კაპიტალისტურ ქვეყანაში არ არის და არც შეიძლება იყოს.

ყველა კაპიტალისტური ქვეყნისაგან განსხვავებით მხოლოდ ჩვენს ქვეყანაშია შექმნილი საბჭოთა ქალისათვის უზრუნველყოფილი და ბედნიერი დედობის პირობები. დედის უფლებებს და ბავშვების ჯანმრთელობას იცავენ საბჭოთა კანონები. კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა ყოველდღე ზრუნავენ დედობის და ბავშვობის დაცვაზე. უკანასკნელი წლების განმავლობაში გაიშალა სამშობიარო სახლების, საბავშვო კონსულტაციების, საბავშვო ბაგების დიდი მშენებლობა; მრავალშვილიან დედებს დიდძალი ფულადი დახმარება მიეცათ. მეფის რუსეთის სამშობიარო სახლებსა და საავადმყოფოებში არსებული სრულიად უმნიშვნელო რიცხვისა — 9 კონსულტაციისა და დაახლოებით 7 ათასი საწოლის ნაცვლად, საბჭოთა კავშირში 1937 წელს იყო 4 ათასზე მეტი საბავშვო კონსულტაცია და 81,5 ათასი საწოლი სამშობიარო სახლებსა და საავადმყოფოებში. დედასა და ბავშვზე ბოლშევიკების პარტიის და საბჭოთა ხელისუფლების ამ მზრუნველობის შედეგები მკაფიოდ სჩანს დაბადებათა რიცხვის უდიდეს ზრდაში.

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ი წინადადებას აძლევს პარტიულ ორგანიზაციებს ფართოდ განუმარტონ ყველა მშრომელს ქალთა საერთაშორისო კომუნისტური დღისა და ჩვენს ქვეყანაში მისი დღესასწაულობის 25 წლისთავის მნიშვნელობა.

პარტიულმა ორგანიზაციებმა ქალები უნდა აღზარდონ ისე, რომ ჩაუნერგონ მათ საბჭოთა პატრიოტიზმი, სიყვარული და ერთგულება სოციალისტური სამშობლოსადმი, საბჭოთა ხელისუფლებისა და ბოლშევიკების პარტიისადმი; ჩაუნერგონ სიძულვილი ფაშიზმის მემარჯვენე ტროცკისტი აგენტებისადმი, რომელნიც ისწრაფოდნენ წაერთმიათ სსრ კავშირის მშრომელთათვის, მათ შორის საბჭოთა ქალებისათვის, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ყველა მონაპოვარი, სოციალიზმის მონაპოვარნი, ფაშისტური ჩაგვრისა და უუფლებობის უღელი დაედგათ თავისუფალი, სრულუფლებიანი საბჭოთა ქალისათვის.

პარტიულმა ორგანიზაციებმა უნდა გააძლიერონ და განამტკიცონ სსრ კავშირის ქალთა ინტერნაციონალური პროლეტარული კავშირი ბურჟუაზიული ქვეყნების მშრომელ ქალებთან, უნდა მოაწყონ სსრ კავშირის ქალთა შემდგომი დახმარება ესპანეთისა და ჩინეთის მშრომელი ქალებისადმი, გააძლიერონ თავდაცვითი მუშაობა საბჭოთა ქალებს შორის.

ჩაატარებენ რა ქალთა საერთაშორისო კომუნისტურ დღეს 8 მარტს, როგორც მასობრივ-პოლიტიკურ კამპანიას, პარტიულმა ორგანიზაციებმა ამოცანად უნდა დაისახონ სტახანოვური მოძრაობის მასობრივად გავრცელება მშრომელ ქალთა შორის, რომელნიც სოციალისტური შრომის უზარმაზარ არმიას შეადგენენ.

პარტიულმა ორგანიზაციებმა ყოველი ღონე უნდა იხმარონ საბჭოთა ქალების საზოგადოებრივი აქტივობისა და პოლიტიკური შეგნების კიდევ უფრო ამაღლებისათვის, უნდა დარაზმონ ისინი მოკავშირე რესპუბლიკათა უმაღლესი საბჭოების მომავალ არჩევნებში აქტიური მონაწილეობისათვის.

პარტიულმა ორგანიზაციებმა უნდა გააძლიერონ თავისი მუშაობა მოწინავე ქალთა დასაწინაურებლად ხელმძღვანელ პოსტებსა და თანამდებობებზე საბჭოთა, სამეურნეო, პროფესიულ და პარტიულ ორგანიზაციებში, ჩააბან ბოლშევიკების პარტიის რიგებში საუკეთესო უპარტიო ქალები, რომლებმაც დაამტკიცეს თავისი ერთგულება სოციალიზმის საქმისადმი.

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი განსაკუთრებით მიუთითებს იმაზე, რომ საჭიროა გავაძლიეროთ ზრუნვა დედაზე, უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენი ბავშვების, ჩვენი მომავალი თაობის, ე. ი. ჩვენი მომავლის აღზრდა ქალის ერთერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს. პარტიულმა ორგანიზაციებმა თვალყური უნდა ადევნონ იმას, რომ განუხრელად სრულდებოდეს საბჭოთა მთავრობის დადგენილებანი ორსული, მშობიარე და მრავალშვილიანი დედებისათვის დახმარების გაწევის შესახებ, სამშობიარო სახლთა და საბავშვო დაწესებულებათა ქსელის გაფართოების შესახებ, და თვით მშრომელი ქალები უნდა ჩააბან მუშაობაში ამ დადგენილებათა ცხოვრებაში გატარებისათვის.

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ი.

საბჭოთა მეურნეობების მუშაკთა სრულიად-საკავშირო თათბირი

თათბირზე გამოვიდა ამხ. ა. ი. მიქოიანი

მოსკოვი, 6 მარტი (საკდესი). 5 მარტს მოსკოვში გაიხსნა სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სახალხო კომისარიატის საბჭოთა მეურნეობების მუშაკთა სრულიად-საკავშირო თათბირი. თათბირს ესწრება დაახლოებით 400 სტახანოველი-მუშა, აგრონომი, ინჟინერი, დირექტორი და საბჭოთა მეურნეობების პოლიტგანყოფილებათა უფროსები. მოხსენებით მუშაობის მდგომარეობის შესახებ საბჭოთა მეურნეობებში, მიმდინარე წლის ამოცანების შესახებ და სახალხო კომისარიატის ახალი სტრუქტურის შესახებ გამოვიდა სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სახალხო კომისარი ამხ. იურკინი.

6 მარტს საბჭოთა მეურნეობების მუშაკთა სრულიად-საკავშირო თათბირზე დაიწყო კამათი ამხ. იურკინის მოხსენების გარშემო.

კამათში გამოსულმა აგრონომებმა, სტახანოველმა-მუშებმა, დირექტორებმა და საბჭოთა მეურნეობების პოლიტგანყოფილებათა უფროსებმა გაუზიარეს ერთმანეთს 1937 წლის თავიანთი მუშაობის გამოცდილება და უამბეს იმის შესახებ, თუ როგორ მოემზადნენ ისინი მიმდინარე წელს მაღალი მოსავლისა და მეცხოველეობის უხვი პროდუქციისათვის საბრძოლველად. გამოსულმა ამხანაგებმა მწვავედ გააკრიტიკეს საბჭოთა მეურნეობების სახალხო კომისარიატის მუშაობის ნაკლოვანებანი, გამოსვლებში ერთსულოვნად იწონებდნენ სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სახალხო კომისარიატის ახალი სტრუქტურის დებულებას.

საღამოს სხდომაზე თათბირის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ამხ. ა. ი. მიქოიანმა, რომელსაც მხურვალედ შეხვდნენ საბჭოთა მეურნეობების მუშაკები. სხდომის დასასრულს ამხ. მიქოიანი გამოვიდა დიდი სიტყვით, რომელშიც ნათლად დაასურათა საბჭოთა მეურნეობების მუშაკთა ამოცანები და მოვალეობანი. თათბირის მონაწილეებმა მქუხარე ოვაცია გაუმართეს ამხ. მიქოიანს.

სონია რამიშვილი (თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის მეცხრე კომპლექტის სტახანოველი ინსტრუქტორი) თავის პატარა ციალათი

ფოტო რ. აკოფოვისა

ქალთა საერთაშორისო კომუნისტური დღე

ქალთა საერთაშორისო კომუნისტურ დღეს — 8 მარტს საბჭოთა კავშირის ხალხები ხვდებიან სტალინური კონსტიტუციის დროშის ქვეშ დარაზმულნი, კონსტიტუციისა, რომელიც ნათლად ასახავს სოციალიზმის გამარჯვებას ჩვენს ქვეყანაში.

შიმშილი და დამცირება, ექსპლოატაცია და უმუშევრობა, უუფლებობა და დაუსრულებელი ტანჯვა — ასეთი იყო და ასეთია ხვედრი ბურჟუაზიულ-ფაშისტური ქვეყნების მშრომელ ქალთა მილიონებისა.

კაპიტალისტურ ქვეყნებში ქალს სთვლიან „უმნიშვნელო ადამიანად", „მეორეხარისხოვან არსებად", ქმრის საკუთრებად, სამზარეულოსა და აკვანზე მიჯაჭვულ არსებად. მხოლოდ საბჭოთა კავშირში, დედამიწის ერთ მეექვსედ ნაწილში, ოქტომბრის ძლევამოსილმა სოციალისტურმა რევოლუციამ მოსპო და გაანადგურა ეს საზიზღარი მონობა, უთანასწორობა და შემოსა ქალი ნამდვილი ადამიანური ღირსებით.

მაშინ, როდესაც გამხეცებული ფაშისტური სახელმწიფოები ათასობით და ათიათასობით ხსნიან ქალებს სამუშაოდან და ერეკებიან ქუჩებში, საკონცენტრაციო ბანაკებში, განუკითხავად აწამებენ ბავშვებიან და ფეხმძიმე ქალებს,—გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყანაში ქალი თავის ბრწყინვალე გამარჯვებას ზეიმობს.

ჩვენი ქვეყნის სტალინურ კონსტიტუციაში ოქროს ასოებით ჩაწერილია, რომ: „ქალს სსრ კავშირში ენიჭება მამაკაცთან თანასწორი უფლებანი სამეურნეო, სახელმწიფო, კულტურული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ყველა დარგში.

ქალის ამ უფლებათა განხორციელების შესაძლებლობა უზრუნველყოფილია იმით, რომ ქალს მინიჭებული აქვს მამაკაცთან თანასწორი უფლება შრომისა, შრომის ანაზღაურებისა, დასვენებისა, სოციალური დაზღვევისა და განათლებისა, დედისა და ბავშვის ინტერესთა სახელმწიფო დაცვისა, ორსულობის დროს ქალისათვის შეღავათები... შეღავათების მინიჭებით ჯამაგირის შენახვით, სამშობიარო სახლების, საბავშვო ბაგებისა და ბაღების ფართო ქსელით".

დიდი სტალინის ხელმძღვანელობით ბრწყინვალედ განხორციელდა ლენინის მითითება ქალთა სრული განთავისუფლებისა და მამაკაცებთან მათი გათანასწორების შესახებ. ქალები აქტიურ მონაწილეობას იღებენ სახელმწიფოს მართვა-გამგეობასა და სამეურნეო-კულტურული ცხოვრების ყველა დარგში.

საბჭოთა ქალი — ეს ახალი ქალია, სახელმწიფო მმართველობის, ჩვენი ქვეყნის სამეურნეო და კულტურულ საქმეების მმართველობის აქტიური მონაწილე. „ასეთი ქალები არ ყოფილან და არც შეიძლებოდა ყოფილიყვნენ ძველ დროს" (სტალინი).

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისას ერთხელ კიდევ დადასტურდა, რომ ქალი დიდი ძალაა. ამაღლდა მისი პოლიტიკურ-კულტურული დონე. გაუგონარი პოლიტიკური აქტივობა გამოიჩინა ქალთა იმ ფენამ, რომელიც ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინათ აქტიურად არ იყო ჩაბმული საზოგადოებრივ ცხოვრებაში. 12 დეკემბერს, არჩევნების დღეს, ქალები სიხარულით გამოცხადდნენ საარჩევნო ყუთებთან და ერთსულოვნად მისცეს ხმა კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის კანდიდატებს.

უმაღლეს საბჭოში მამაკაცებთან ერთად არჩეულ იქნენ ჩვენი ქვეყნის წარჩინებული ქალები, მთელი ხალხისათვის ცნობილნი შრომისადმი სოციალისტური დამოკიდებულებით, სამშობლოსადმი განუსაზღვრელი სიყვარულით. უმაღლესი საბჭოს დეპუტატების: ეთერ მაზანაშვილის, ნატალია სადალაშვილის, უშა ახუბას, ნინო ბირკაძისა და სხვათა სახელებს მთელი ჩვენი ქვეყანა იცნობს.

უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა შემადგენლობაში 189 ქალია არჩეული. ესაა საბჭოთა კავშირში სრული დემოკრატიზმის მკაფიო მაჩვენებელი, ესაა მაჩვენებელი საბჭოთა ქალის ფართო მონაწილეობისა სახელმწიფო მართვა-გამგეობაში.

მსგავსი მოვლენა ბურჟუაზიულ პარლამენტში არასოდეს არ ყოფილა და არც შეიძლება იყოს. ამჟამად ინგლისის პარლამენტის 615 დეპუტატთაგან მხოლოდ 9 ქალია დეპუტატი, ისინი ყველა აზნაურთა, არისტოკრატთა და კაპიტალისტთა წარმომადგენელნი არიან.

ჩვენს ქვეყანაში სტახანოვური მოძრაობის განვითარებამ ახალი გმირი ქალები წამოაყენა, — თვითეულ ქარხანაში, თვითეულ ფაბრიკაში, რკინიგზაზე, საბჭოთა მეურნეობასა და კოლმეურნეობაში, მეცნიერების, პედაგოგიკის, მედიცინის, ხელოვნების, მუსიკის, სპორტის, ავიაციისა და სხვა დარგებში ასობით ითვლებიან სტახანოველი და დამკვრელი ქალები. ქალთა ამ არმიას ორდენოსანი საქართველოს გამოჩენილ ქალთა ასეულებიც ეკუთვნიან. ასეთია, მაგალითად, ორდენოსანი თამარ როსტომაშვილი, კოლმეურნე სტახანოველი ცაცა ქარდავა, მასწავლებელი — ორდენოსანი ალექსანდრა ხუსკივაძე, ორდენოსანი — ფიზკულტურელი ლენა გოკიელი, მფრინავი — ორდენოსანი რუსუდან ჟორდანია, ფადიკო გოგიტიძე, ზინა ქელეხსაშვილი, სონია მიქაბერიძე და სხვა მრავალი.

მუშაობის ყველა უბანზე საბჭოთა ქალმა საყოველთაო პატივისცემა და სიყვარული დაიმსახურა. სოციალიზმის მშენებელთა ცოლები, დიდი საბჭოთა ხალხის ქალიშვილნი, თავიანთ ქმრებთან, მამებთან და ძმებთან ერთად სოციალიზმის მშენებლობის აქტიურ მონაწილეთა რიგებში ჩადგნენ. სამეურნეო და ინჟინერ-ტექნიკოს მუშაკთა, მუშურ-გლეხური წითელი არმიის მეთაურთა და უფროსთა შემადგენლობის ცოლების მოძრაობამ ახალი ენტუზიაზმი შეიტანა საბჭოთა ქალების მუშაობაში.

ხალხის მტრებს, ტროცკისტ-ბუხარინელებს, ფაშიზმის ამ ცოფიან აგენტებს უნდოდათ დაებრუნებინათ საბჭოთა ქალებისათვის უუფლებობა და კაპიტალისტური ექსპლოატაცია. მათ ეს ვერ შესძლეს და ვერც ვერასოდეს შესძლებენ. საბჭოთა ქალი ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით, დიდი სტალინის მეთაურობით, არავის დაუთმობს თავის მონაპოვარს, რომელიც ჩაწერილია დიად სტალინურ კონსტიტუციაში.

თუ გამხეცებული ფაშიზმი საბჭოთა კავშირზე თავდასხმას გაბედავს, ჩვენი ქვეყნის მშრომელი ქალები სახელოვან წითელ არმიასთან ერთად ჩადგებიან მებრძოლთა მოწინავე რიგებში და ლენინ-სტალინის პარტიის დიადი დროშის ქვეშ დარაზმულნი, ხალხის ყველა მტრებს გამანადგურებელი ლახვრის ჩაცემით უპასუხებენ.

რესპუბლიკური ესპანეთის ქალები

დოლორეს იბარური

ჩვენ გამოვდიოდით კრებიდან, [illegible]

პროვინციაში სოფელ [illegible]

ბარსელონა, 6 მარტი.

(საკდესი).

ანტისაბჭოთა „მემარჯვენე-ტროცკისტული ბლოკის" პროცესი

4 მარტის საღამოს სხდომა

ბრალდებულ როზენგოლცის დაკითხვა*

ვიშინსკი: ბრალდებულო როზენგოლც, გვიამბეთ მოკლედ თქვენი დანაშაულებრივი საქმიანობის შესახებ.

როზენგოლცი: მე, როგორც ცნობილია, მონაწილე ვიყავი ტროცკისტული პროფკავშირული ოპოზიციისა პროფკავშირული დისკუსიის დროს 1920-21 წლებში. შემდეგ 1923 წელს მე ხელი მოვაწერე „46-ის" ეგრეთწოდებულ პლატფორმას.

1929 წელს კრესტინსკიმ ჩამომიტანა ტროცკის დირექტივა იმის შესახებ, რომ კრესტინსკი და მე დავკონსპირირებულიყავით და შეძლებისდაგვარად დაგვეკავებინა პასუხსაგები მდგომარეობა, დავდგომოდით დაცდის პოზიციას იმ დრომდე, როცა ჩვენი ქვეყნის სათანადო ძალები, ტროცკის აზრით, გამარჯვების მოპოვებას შესძლებდნენ, და ჩვენ ახალი ხელისუფლების შექმნაში მონაწილეობის მიღება შეგვეძლებოდა.

ვიშინსკი: მაშასადამე, 1929 წელს კრესტინსკიმ ტროცკისაგან დირექტივა ჩამოგიტანათ?

როზენგოლცი: დიაღ. შემდეგ 1933 წელს კრესტინსკიმ წერილი მიიღო საზღვარგარეთიდან. 1933 წელს მე საზღვარგარეთ ვიყავი და ფელდენში, ავსტრიაში, შეხვედრა მქონდა სედოვთან. შემდეგ მე სედოვს 1934 წელს შევხვდი კარლსბადში.

ვიშინსკი: თქვენი საუბრის შინაარსი?

როზენგოლცი: სედოვმა გადმომცა ტროცკის შემდეგი დირექტივები: რჩევას გვაძლევდა დავკავშირებოდით მემარჯვენეებს და მათთან კონტაქტით გვემუშავნა.

ვიშინსკი: კონკრეტულად ვის?

როზენგოლცი: კრესტინსკი მაცნობებდა, რომ მას მითითებები ჰქონდა რიკოვისა და რუძუტაკის მიმართ. შემდეგ სედოვმა ბევრი ილაპარაკა ტუხაჩევსკისთან მაქსიმალური, რაც შეიძლება უფრო მჭიდრო კავშირის აუცილებლობაზე, რამდენადაც, ტროცკის აზრით, ტუხაჩევსკი და სამხედრო ჯგუფი გადამწყვეტი ძალა უნდა ყოფილიყვნენ კონტრრევოლუციურ გამოსვლაში. საუბრის დროს გამოირკვა აგრეთვე, რომ ტროცკის აშინებდა ტუხაჩევსკის ბონაპარტისტული ტენდენციები. ამიტომ ტროცკი მოლაპარაკების დროს წინადადებას იძლეოდა, ყველგან ჩვენი კაცები ჩააყენეთო.

ამ დირექტივის შესასრულებლად კრესტინსკი დაკავშირებული იყო ტუხაჩევსკისთან. მთელი ამ პერიოდის განმავლობაში, 1933-დან 1937 წლამდე მე კავშირი მქონდა რიკოვთან და რუძუტაკთან.

სედოვთან გამართულ მოლაპარაკებაში ყველაზე არსებითი მომენტი იყო მთავრობის შემადგენლობის დასახვის საკითხი. სედოვმა გადმომცა აგრეთვე ტროცკის დირექტივები ტერორის მოწყობის შესახებ. 1933 წელსვე მოცემული იყო დირექტივები და მითითებანი საგარეო ვაჭრობის დარგში მავნებლობის შესახებ. რამდენადაც სედოვმა გვაცნობა, რომ ტროცკის შეთანხმება აქვს გერმანიის სათანადო წრეებთანო, მავნებლობის საკითხს ამ თვალსაზრისით მეტად არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა ტროცკისათვის, მისი ავტორიტეტის დასაცავადაც და შეთანხმების დასაცავადაც.

მავნებლობის ძირითადი ხაზები იქით იყო მიმართული, რომ საგარეო ვაჭრობის დარგში შესაძლო დახმარება გაგვეწია გერმანიისა და იაპონიის ინტერესებისათვის. შემდეგ დაისვა საკითხი, რომელსაც რამდენჯერმე და ძალიან დაჟინებით აყენებდნენ ტროცკი და სედოვი,—საკითხი იმის შესახებ, რომ ტროცკისტული მოძრაობა დაფინანსებული ყოფილიყო საგარეო ვაჭრობის არხებით.

ვიშინსკი: ნაგულისხმევი იყო, რომ ომი იქნებოდა? როდის?

როზენგოლცი: 1935 და 1936 წლებში.

ვიშინსკი: მაშასადამე, მაშინ ტროცკი ფიქრობდა, რომ ომი უნდა დაიწყოს 1935, 1936 წლებში და ამასთან დაკავშირებით...

როზენგოლცი: იდგა საკითხი გადატრიალების შესახებ. ამასთან აქ მოხდა ცვლილება მიზანდასახულობაში—ჯერ საკითხი ეხებოდა იმას, რომ სასურველი და აუცილებელია სამხედრო გადატრიალება ომის შესაძლო დაწყების ვადებთან შეფარდებით განხორციელდესო, შემდეგ კი, როცა გამოირკვა, რომ ომის დაწყება ჭიანურდება, დადგა საკითხი იმის შესახებ, რომ სასურველია დავაჩქაროთ გადატრიალება და საომარ მოქმედებას არ დავუცადოთო. ეს იყო უკვე 1937 წელს.

ვიშინსკი: როგორ შეხვდით თქვენ პიატაკოვის დაპატიმრებას ამ გეგმის თვალსაზრისით?

როზენგოლცი: პიატაკოვის გასამართლების შემდეგ მოვიდა ტროცკის წერილი, სადაც დასმული იყო საკითხი ტუხაჩევსკის მიერ სამხედრო გადატრიალების მაქსიმალურად დაჩქარების საჭიროების შესახებ. ამასთან დაკავშირებით თათბირი შესდგა ჩემს ბინაზე.

ვიშინსკი: ეს რა წერილი იყო, არ შეიძლება უფრო დაწვრილებით შევიტყოთ?

როზენგოლცი: იქ ტროცკის მიერ დასმული იყო რამდენიმე კითხვა. უწინარეს ყოვლისა აღნიშნული იყო, რომ თუ დააყოვნებდნენ, მოხდებოდა ის, რომ ნაწილნაწილ გაანადგურებდნენ მთელ კონტრრევოლუციურ ძალებს. ამიტომ, რამდენადაც კადრთა მნიშვნელოვანი განადგურება უკვე მომხდარია, საჭიროა მაქსიმალურად დაჩქარდეს მთელი რიგი შესაძლებელი აქციები.

ვიშინსკი: მაგალითად?

როზენგოლცი: პასუხად სასამართლოს განაჩენისა პიატაკოვის დახვრეტის შესახებ დასმული იყო საკითხი ტერორისტული აქტების მოწყობის თაობაზე პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელთა მიმართ და საკითხი სამხედრო გადატრიალების მაქსიმალურად დაჩქარებისა.

ვიშინსკი: გაგონდებათ თუ არა, რომ ამ წერილში ტროცკი იძლეოდა პიატაკოვის ყოფაქცევის შეფასებას სასამართლოში, რომელმაც აღიარა თავისი დანაშაულობანი?

როზენგოლცი: ზუსტად არ მაგონდება ეგ მომენტი.

ვიშინსკი: ბრალდებულო კრესტინსკი, თქვენ არ გაგონდებათ, რასა სწერდა ამ წერილში ტროცკი?

კრესტინსკი: ამ წერილში ტროცკი გულისწყრომას გამოსთქვამდა პიატაკოვის საქციელის გამო. იქ იყო წინადადება იმის შესახებ, რომ თუ შემდგომ ასეთი შემთხვევა განმეორდება,—ასე არ მოვქცეულიყავით.

ვიშინსკი: მაშ როგორ უნდა მოქცეულიყავით?

კრესტინსკი: არ გვეღიარებინა ჩვენი დანაშაული.

ვიშინსკი: შეიძლება თქვენი საქციელი სასამართლოში ორი დღის წინათ სწორედ ამ დირექტივითვე იყო ნაკარნახევი?

კრესტინსკი: არა.

ვიშინსკი: მაგრამ თქვენ გახსოვდათ ტროცკის ეს დირექტივა?

კრესტინსკი: მახსოვდა.

ვიშინსკი: ბრალდებულო როზენგოლცო, განაგრძეთ.

როზენგოლცი: მომენტი, რომელზედაც მე შევჩერდი, ეს არის თათბირი ტუხაჩევსკისთან ერთად.

ვიშინსკი: სად მოხდა ეს თათბირი?

როზენგოლცი: ჩემს ბინაზე.

ვიშინსკი: თქვენს ბინაზე იყო თათბირი, ვისთან ერთად?

როზენგოლცი: ტუხაჩევსკისა და კრესტინსკისთან. ეს იყო 1937 წლის მარტის დამლევს. ამ თათბირზე ტუხაჩევსკიმ გვაცნობა, რომ მას მტკიცე იმედი აქვს გადატრიალების შესაძლებლობისა, და აღნიშნავდა ვადას, ჰფიქრობდა რა, რომ 15 მაისამდე, მაისის პირველ ნახევარში, ის მოახერხებდა ამ სამხედრო გადატრიალების განხორციელებას.

ვიშინსკი: რაში მდგომარეობდა ამ კონტრრევოლუციური გამოსვლის გეგმა?

როზენგოლცი: აქ ტუხაჩევსკის მთელი რიგი ვარიანტები ჰქონდა. ერთ-ერთი ვარიანტი, რომლისაც ყველაზე მეტი იმედი ჰქონდა მას, ეს იყო შესაძლებლობა მის მომხრე სამხედროთა ჯგუფისათვის—შეკრებილიყვნენ მასთან ბინაზე, რაიმე საბაბით შესულიყვნენ კრემლში, ხელში ჩაეგდოთ კრემლის სატელეფონო სადგური და დაეხოცათ პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელები.

ვიშინსკი: (მიმართავს კრესტინსკის). თქვენ ამას ადასტურებთ?

კრესტინსკი: დიაღ ვადასტურებ. ეს თათბირი მოხდა როზენგოლცთან.

როზენგოლცი: მე და კრესტინსკიმ განვიხილეთ შესაძლებელი ტერორისტული აქტის საკითხი სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოლოტოვის მიმართ.

ვიშინსკი: განაგრძეთ.

როზენგოლცი: დანაშაულებრივად იყო გამოყენებული საგარეო ვაჭრობა სახსრების დატაცების მხრივ, რათა დაფინანსებულიყო ტროცკისტული მოძრაობა. დავასახელებ ორს ყველაზე დიდ მაგალითს. პირველი იყო ოპერაციები, რომელთაც ახორციელებდა კრაევსკი 300 ათასი დოლარის რაოდენობით, რაც გადაეცა ტროცკისტულ ორგანიზაციას, თუ ტროცკის უშუალოდ.

ეს საქმე ხორციელდებოდა სათანადო ფირმების საშუალებით, სადაც სედოვი გამოყენებული იყო როგორც კომისიონერი. შემდეგ ეს ფინანსირება მოვაწყე აგრეთვე პირადად მე, როდესაც შევუთანხმდი ერთს ოფიციალურ პირს მოსკოვში ხელშეკრულების დადების დროს.

ვიშინსკი: რომელ ოფიციალურ პირს?

როზენგოლცი: ერთ-ერთი სახელმწიფოს წარმომადგენელს.

ვიშინსკი: ერთერთი უცხო სახელმწიფოსი?

როზენგოლცი: დიაღ. შეთანხმების გარშემო, რომლის მიხედვით, დაახლოებით 110 ათასი დოლარი ყოველწლიურად სამი წლის განმავლობაში უნდა მიეღო ტროცკის.

ვიშინსკი: ასე რომ ტროცკის დაფინანსება თქვენ მოაგვარეთ რეგულარულად და ჯეროვნად?

როზენგოლცი: დიაღ.

ვიშინსკი: ეს უფრო მსხვილი თანხაა, ხოლო წვრილ-წვრილად? მაგალითად, 1933 წელს ტროცკის გადაეცა 2 ათასი გირვანქა სტერლინგი?

როზენგოლცი: ეს ჩემს გარეშე, მაგრამ, რასაკვირველია, მე ეს ვიცოდი.

ვიშინსკი: ეს საგარეო ვაჭრობის ხაზით, ხოლო თქვენ მაშინ იყავით...

როზენგოლცი: მე ვიყავი საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარი და ჩემის სანქციითა და დასტურით...

ვიშინსკი: მაშასადამე, თქვენ მიერ. მაშასადამე, 2 ათასი გირვანქა სტერლინგი გადაცემულ იქნა. ესეც დიდი თანხაა, მაგრამ 110 ათას დოლართან შედარებით ეს წვრილმანია. 1934 წელს ტროცკის გადაეცა აგრეთვე 15 ათასი გირვანქა სტერლინგი?

როზენგოლცი: დიაღ, 15 ათასი გირვანქა, შემდეგ კიდევ ერთხელ 10 ათასი გირვანქა სტერლინგი.

ვიშინსკი: 15 ათასი, შემდეგ 10 ათასი, შემდეგ 2 ათასი... უკვე 27 ათასი გირვანქა სტერლინგი გამოდის.

როზენგოლცი: და კიდევ 20 ათასი მარკა.

ვიშინსკი: მაშასადამე, საკმაოდ მნიშვნელოვანი თანხა. ამას კიდევ უნდა მივუმატოთ 300 ათასი დოლარი. რა ხნის განმავლობაში?

როზენგოლცი: ეს 1933 წლის შემდეგ. ხე-ტყის ექსპორტის ხაზით 300 ათასი.

ვიშინსკი: ხე-ტყის ექსპორტის ხაზით, ეს უკვე ცალკე. კიდევ რა გაქვთ თქვენ სათქმელი?

როზენგოლცი: ახლა მე მინდა აღვნიშნო კიდევ, რომ უფრო ადრე —1923 წელს, იმ საქმიან კონტაქტთან დაკავშირებით, რომელიც მე მქონდა...

ვიშინსკი: ვისთან?

როზენგოლცი: გერმანიის სამხედრო წრეებთან. ტროცკიმ წინადადება მომცა გადამეცა სექტისთვის ცნობები საბჭოთა სამხედრო-საჰაერო ძალების შესახებ.

ვიშინსკი: და თქვენ გადაეცით?

როზენგოლცი: დიაღ. მე ეს ცნობები გადავეცი.

ვიშინსკი: ტროცკისათვის ფულის გადაცემის გარდა თქვენ აგრეთვე გადაეცით ჯაშუშური ცნობები სექტს?

როზენგოლცი: დიაღ, დიაღ, ეს იყო 1923 წელს.

ვიშინსკი: და უფრო გვიან, შემდეგ?

როზენგოლცი: დაწყებული 1931 წლიდან ვაწვდიდი ცნობებს დაკვეთების შესახებ საგარეო ვაჭრობის ხაზით.

ვიშინსკი: საიდუმლო, სახელმწიფოებრივ ცნობებს?

როზენგოლცი: დიაღ.

ვიშინსკი: თქვენ არ იცით, სხვა ვინმე აწვდიდა თუ არა იმ დროს ანალოგიურ ცნობებს სექტს?

როზენგოლცი: მე ვიცოდი, რომ კრესტინსკის რაღაც არალეგალური კავშირი ჰქონდა რეიხსვერთან.

ვიშინსკი: მაშასადამე, თქვენ, ბრალდებულო როზენგოლც, 1923 წლიდან დაიწყეთ უცხო სახელმწიფოებისათვის ჯაშუშური ცნობების მიწოდება?

როზენგოლცი: მართალია.

ვიშინსკი: განაგრძეთ.

როზენგოლცი: ახლა მავნებლობის შესახებ მე მინდა აღვნიშნო, რომ ეს მავნებლობა ამოცანად ისახავდა დახმარების გაწევას უმთავრესად გერმანიისათვის და ნაწილობრივ იაპონიისათვის.

ამ მავნებლობის ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი აქტებიდან, რომელიც, ცხადია, ამავე დროს მოღალატური საქმიანობაც არის, მე დავასახელებ გერმანიასთან ხელშეკრულების დადებას ნავთის შესახებ. დავასახელებ გერმანიაში ოქროს ნარჩენთა გატანის ფაქტს, მაშინ როცა უფრო რაციონალური იქნებოდა მათი გადამუშავება საბჭოთა კავშირში, შემდეგ თუთიის კონცენტრატების ექსპორტს, საავანსო ექსპორტს, შემდეგ თუჯის ექსპორტს იაპონიაში დაკლებულ ფასად და მნიშვნელოვანი რაოდენობით იმ პერიოდში, როცა ბაზარზე თუჯის მწვავე მოთხოვნილება იყო, საფრახტო ორდერების გაცემას დაყოვნებით, რამაც გამოიწვია ზედმეტი თანხის გაცემა, ხელშეკრულებებში მთელი რიგი არახელსაყრელი პირობების შეტანას, კერძოდ ფორმულირებას მუხლისას ფორსმაჟორის შესახებ. აგრეთვე ექსპორტის შეფერხებას მონღოლეთში, დასავლეთ ჩინეთში.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მავნებლობა, რომელიც გამომდინარეობს დამარცხების ამოცანიდან,— ეს არის თავდაცვითი იმპორტის შეფერხება.

აი დაახლოებით ყოველივე ძირითადი.

ბრალდებულ კრესტინსკის მეორე დაკითხვა *

თავმჯდომარე: ბრალდებულო კრესტინსკი, გვიამბეთ მოკლედ თქვენი კონტრრევოლუციური საქმიანობის შესახებ და ნუ შეჩერდებით იმ მომენტებზე, რომლებიც უკვე გაშუქებულია.

კრესტინსკი: მე ჩემი არალეგალური ტროცკისტული საქმიანობა დავიწყე 1921 წლის დამლევს, როცა ტროცკის წინადადებით დავთანხმდი, შეგვექმნა არალეგალური ტროცკისტული ორგანიზაცია და შევსულიყავი მის ცენტრში, რომელიც გათვალისწინებული იყო შემდეგი შემადგენლობით: ტროცკი, პიატაკოვი, სერებრიაკოვი, პრეობრაჟენსკი და მე, კრესტინსკი. ეს წინადადება ტროცკიმ მომცა X ყრილობის დამთავრებისთანავე. ერთი წლის შემდეგ ჩავიდინე დანაშაული—სწორედ ის, რაზედაც მე ვილაპარაკე ბრალდებულ როზენგოლცის დაკითხვის დროს, — ტროცკის დავალებით მე შევუთანხმდი გენერალ სექტს, მისი სახით რეიხსვერს იმის შესახებ, რომ დაეფინანსებინა ტროცკისტული ორგანიზაცია ჯაშუშურ - ზვერვითი ხასიათის იმ სამსახურის სანაცვლოდ, რომლის გაწევასაც რეიხსვერისათვის ჩვენ ამასთან ვკისრულობდით. შეთანხმებას სექტთან 1923 წლიდან ვანხორციელებდით, უმთავრესად, მოსკოვში, ზოგჯერ კი ბერლინში. 1926 წელს რეიხსვერმა დააყენა საკითხი ამ შეთანხმებაზე უარისთქმის შესახებ. ვფიქრობ, ეს იყო ტაქტიკური ნაბიჯი იმისათვის, რომ ჩვენთვის უფრო გადიდებული მოთხოვნები წამოეყენებინათ...

ვიშინსკი: ვინ „ჩვენთვის"?

კრესტინსკი: ტროცკისტებისათვის. ჩვენ იმ დროს უკვე შევეჩვიეთ თანხების, მტკიცე ვალუტის რეგულარულად მიღებას...

ვიშინსკი: შეეჩვიეთ ფულის მიღებას უცხოეთის დაზვერვებისაგან?

კრესტინსკი: დიაღ, ეს ფული ხმარდებოდა ტროცკისტულ მუშაობას, რომელიც საზღვარგარეთ, სხვადასხვა ქვეყანაში ვითარდებოდა, ხმარდებოდა გამომცემლობას და სხვ.

1926 წელს, როცა საზღვარგარეთ გაჩაღებული იყო ტროცკისტული ჯგუფების ბრძოლა პარტიულ ხელმძღვანელობასთან როგორც მოსკოვში, ისე მოძმე პარტიებში, ამ ფულზე უარისთქმას შეეძლო ძირი გამოეთხარა ტროცკისტების ბრძოლისათვის. და ამიტომ, როცა სექტმა გაგვაფრთხილა, ამ სუბსიდირების შეწყვეტას ვაპირებო, მე, რასაკვირველია, დავაყენე კითხვა, რა პირობებით დასთანხმდებოდა იგი შეთანხმების განგრძობას.

მაშინ მან წამოაყენა წინადადება, რომ იმ ჯაშუშურმა ინფორმაციამ, რომელსაც იგი ღებულობდა არასისტემატურად, შემთხვევიდან - შემთხვევამდე, უფრო მუდმივი ხასიათი უნდა მიიღოსო, და გარდა ამისა, ტროცკისტულმა ორგანიზაციამ იკისროს ვალდებულებანი, რომ, თუ იგი შესაძლო ახალი მსოფლიო ომის დროს სათავეში ჩაუდგება ხელისუფლებას, ამ ტროცკისტულმა ხელისუფლებამ გაითვალისწინოს გერმანიის ბურჟუაზიის სამართლიანი მოთხოვნები, ე. ი. უმთავრესად, კონცესიების მიღებისა და სხვაგვარ ხელშეკრულებათა დადების მოთხოვნებიო.

მას შემდეგ, რაც ტროცკის შევეკითხე და მისგან თანხმობა მივიღე, მე გენერალ სექტს დადებითი პასუხი მივეცი, და ჩვენი ინფორმაცია უკვე სისტემატურ ხასიათს ატარებდა. მიცემული იყო სიტყვიერი დაპირებანი მომავალი, ომისშემდგომი შეთანხმების თაობაზე.

ვიშინსკი: ხომ არ იტყვით, სულ რამდენი იყო მიღებული ფული?

კრესტინსკი: დაწყებული 1923 წლიდან 1930 წლამდე, ჩვენ ვღებულობდით ყოველ წელს 250 ათას გერმანულ მარკას ოქროს ვალუტით.

ვიშინსკი: ეს შეადგენს დაახლოებით 2 მილიონ ოქროს მარკას ამ წლების განმავლობაში?

კრესტინსკი: დიაღ, დაახლოებით 2 მილიონ ოქროს მარკას. 1928 წლის ოქტომბერში მე მივიღე ტროცკისაგან, რომელიც იმ დროს გადასახლებაში იმყოფებოდა, ალმა-ატიდან გამოგზავნილი წერილი. ეს წერილი შეიცავდა ტროცკის მითითებას გერმანული ფულის მიღებაზე, რომელიც მისი წინადადებით უნდა გადაგვეცა ან მასლოვისათვის ან ტროცკის ფრანგ მეგობრებისათვის, ე. ი. როსმერისთვის, მადლენა პაზისა და სხვებისათვის.

მე მივმართე გენერალ სექტს. იგი ამ დროს უკვე გადამდგარი იყო და არარავითარი თანამდებობა არ ეკავა. მან იკისრა ჰამერშტაინთან მოლაპარაკება და ფულის მიღება. ფული მან მიიღო.

ვიშინსკი: ჰამერშტაინი ვინღაა?

კრესტინსკი: ჰამერშტაინი ამ პერიოდში რეიხსვერის შტაბის უფროსი იყო, ხოლო 1930 წლიდან რეიხსვერის სარდალი გახდა. ჩვენი შეხვედრისას მან გამიმართა პოლიტიკური საუბარი, თუმცა არაფერი უთქვამს ჩვენს ვალდებულებაზე ჯაშუშური ცნობების მიწოდების შესახებ, საერთაშორისო თემებზე იმ ანგარიშით, რომ მიეღო ჩემგან ზოგიერთი ინფორმაცია. მცირეოდენი ინფორმაცია საიდუმლო ხასიათისა მე მას მივეცი.

ვიშინსკი: ფული გადაგიხადა?

კრესტინსკი: დიაღ, ფული მან მომცა.

ვიშინსკი: მან იცოდა, რისთვის იძლეოდა?

კრესტინსკი: იცოდა.

ვიშინსკი: თქვენს ტროცკისტულ ორგანიზაციას კონტაქტი სექტთან ჯერ კიდევ 1921 წლამდეც კი ჰქონდა?

კრესტინსკი: მასთან იყო კონტაქტი, რომლის შესახებაც მე არ მსურს ვილაპარაკო ღია სხდომაზე.

ვიშინსკი: ზოგი რამ ახლა შეიძლება ითქვას. ჯერ ერთი, ვინ იყო კოპი?

კრესტინსკი: კოპი საერთოდ ძველი მენშევიკი იყო. იგი ტროცკის მახლობელი ადამიანი იყო.

ვიშინსკი: 1920 წლის ივლისში იმ საკითხის შესახებ, რომელზედაც თქვენ, ცხადია, არ ფიქრობთ აქ ილაპარაკოთ და იტყვით მხოლოდ დახურულ სხდომაზე, სწორედ ამ კოპმა დაამყარა კონტაქტი სექტთან?

კრესტინსკი: დიაღ, სექტმა მიჰმართა კოპს.

ვიშინსკი: მე აქედან გამომაქვს დასკვნა, რომ არა მარტო 1921 და 1922 წელს, არამედ ჯერ კიდევ 1920 წლის ტროცკი სინჯავდა და კოპის საშუალებით მიაგნო კიდეც გზას სექტისაკენ.

კრესტინსკი: ამის დაწვრილებითი ამბავი მე არ ვიცი, მაშინ ოფიციალური შეხვედრები იყო.

ვიშინსკი: ნება მიბოძეთ გამოვაქვეყნო შემდეგი ადგილი მე-3 ტომის მე-13-ს მეორე გვერდიდან: „ამ საუბრების დროს წამოიჭრა საკითხი ფულადი სახსრების შესახებ კონსპირატიული ტროცკისტული მუშაობისათვის... ეს საკითხი ფულადი სახსრების შესახებ ტროცკიმ აღძრა"...

კრესტინსკი: მართალია.

ვიშინსკი: ...„რომელსაც რაღაც სიძნელეები ჰქონდა. იმაში, რომ კონსპირატიული ტროცკისტული მიზნებისათვის სააპარატო სახსრები გამოეყენებინა. მაშინ კოპმა ურჩია (ცდილიყო საჭირო ფულადი სახსრების მიღებას გერმანიის რეიხსვერისაგან... კონტაქტი კოპსა და გენერალ სექტს შორის ამრიგად უკვე დამყარდა"...

ეს არის ბრალდებული კრესტინსკის ჩვენება 1937 წლის 9 ივნისს.

ბრალდებულო კრესტინკი, ადასტურებთ ამას?

კრესტინსკი: დიაღ, დიაღ.

ვიშინსკი: ბრალდებულო კრესტინსკი, განაგრძეთ.

კრესტინსკი: 1929 წელს შემოდგომაზე, როდესაც მე შვებულებაში ვიყავი სამხრეთ გერმანიაში კისინგენში, ბერლინიდან ტელეფონით დამირეკა იაკუბოვიჩმა და მაცნობა, რომ ტროცკის შვილს სურს მინახულოს თავისი მამის დავალებით. მე შევუთვალე მას ჩამოსულიყო კისინგენში. მეორე დღეს თუ ერთი დღის შემდეგ ჩამოვიდნენ სედოვი და იაკუბოვიჩი.

სედოვის ინფორმაცია იმაში მდგომარეობდა, რომ ტროცკი ურჩევდა გადასახლებულ და გარიცხულ ტროცკისტებს შეეტანათ განცხადება იმის შესახებ, რომ ისინი უარს ამბობენ ოპოზიციურ ბრძოლაზე და თხოულობენ პარტიაში დაბრუნებას. კერძოდ მან მაცნობა, რომ პიატაკოვთან და რადეკთან მე შემიძლიან გულახდილად ვილაპარაკო. თუმცა პიატაკოვმა შეიტანა განცხადება 1928 წელს ტროცკიზმისაგან ჩამოშორების შესახებ, რადეკმა კი, მგონი, 1929 წელს, და აღნიშნა რომ ისინი ტროცკიზმის მომხრეებად რჩებიან.

შემდეგ მან სთქვა, რომ საჭიროა უარი ვთქვათ მასებში მუშაობაზე, საჭიროა ზრუნვა იმაზე, რომ შენარჩუნებულ იქნას ორგანიზაციული ჩონჩხი, რომ ეს ადამიანები შეიპარონ პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციებში და ეცადონ დაიკავონ იქ ცოტად თუ ბევრად დამოუკიდებელი, პასუხსაგები პოსტები, რომ სასტიკი დაკონსპირირებით სწარმოებდეს მუშაობა საიმედო ადამიანების რიცხვიდან, ახალ მომხრეთა სათითაოდ მოსაზიდად კადრების ჩონჩხის გადიდებისა და განმტკიცებისათვის. მე უნდა განმეგრძო რეიხსვერთან ურთიერთობა ფულის მისაღებად და ინფორმაციის გადასაცემად და მე უნდა მომეგვარებინა კავშირი ერთი მხრით ტროცკისა და ევროპაში მყოფ მის რწმუნებულებსა და მეორე მხრით, საბჭოთა კავშირში მყოფ ტროცკისტებს შორის.

კავშირი ტროცკისთან იქნა შემდეგნაირად დამყარებული: ბერლინში, დაახლოებით კიდევ ერთ წელიწადს ჩემი წამოსვლის შემდეგ რჩებოდა იაკუბოვიჩი, და მე და ის შევთანხმდით, რომ იგი მიიღებდა ჩემგან დიპლომატიური ფოსტით წერილებს, თუ საჭირო იქნებოდა ტროცკისთვის გადასაგზავნად, ხოლო ის, როდესაც შეხვდა სედოვს, შეუთანხმდა მას პარიზის იმ მისამართების შესახებ, რომლებითაც იგი გადაგზავნიდა ამ წერილებს.

გარდა ამისა, მე მაშინ კავშირი დავამყარე სრულუფლებიანი წარმომადგენლობის მეორე მუშაკთან— შტერნთან, რომელიც სიმპატიით ეკიდებოდა ტროცკისტებს. მე შევუთანხმდი მას, რომ თუ იაკუბოვიჩი წავიდოდა ხოლმე ბერლინიდან, მე ვთხოვ შტერნს რომ ეს ჩემი მინდობილებანი და დავალებანი მიეღო იაკუბოვიჩისაგან, რაც შესრულებულ იქნა კიდევაც.

გარდა ამისა, რადეკმა მე მომმართა, მე კი საგარეო საქმეთა კომისარიატის ბეჭდვითი სიტყვის განყოფილების ზოგიერთ ჩემ მუშაკთა საშუალებით მოვაგვარე ზოგიერთ უცხოელ კორესპონდენტთა საიდუმლო ინფორმაციით მომარაგების საქმე.

ვიშინსკი: გვიამბეთ, თუ როგორ იყო მოწყობილი თქვენი შეხვედრა ტროცკისთან მერანში.

კრესტინსკი: მე გზად ვიყავი ბერლინში რამდენიმე დღეს. ბერლინში მრჩეველად იყო ჩვენი კაცი ტროცკისტი ბესონოვი, რომელსაც უნდა ჰქონოდა კავშირი ტროცკისთან, ვინაიდან როდესაც ის 1933 წლის მაისში ბერლინს მიემგზავრებოდა, მე ვუთხარი, რომ მას დაემყარებინა ეს კავშირი.

მე ისევ კისინგენში ვიყავი, როდესაც ბესონოვმა ტელეფონით დამირეკა და მაცნობა, რომ შეხვედრა მოხდება მერანში. ტროცკი ჩამოვიდა მერანში სედოვთან ერთად დაახლოებით 10 ოქტომბერს.

ტროცკი, როგორც მან მითხრა, ჩამოვიდა სხვისი ფრანგული პასპორტით, და ჩამოვიდა იმ მარშრუტით, რომელზედაც ლაპარაკობდა ბესონოვი, ე. ი. საფრანგეთ-იტალიის საზღვარზე გამოვლით და არა შვეიცარიითა და გერმანიით. ტროცკისათვის ის საკითხები, რომლებზედაც ჩვენ ვფიქრობდით მოსკოვში, საბოლოოდ იყო გადაწყვეტილი, და იგი თვითონ შეუდგა თავის მითითებათა მოცემას ამის შესახებ. მან სთქვა, რომ რამდენადაც ჩვენ 1929 წლიდან გადავედით შეთქმულობითი ტიპის ორგანიზაციაზე, იმდენად, ბუნებრივია, ხელისუფლების დაპყრობა შეიძლება განხორციელებულ იქნას მხოლოდ ძალით. მაგრამ ჩვენი შეთქმულობითი ორგანიზაცია თვითონ ვერავითარ გადატრიალებას ვერ მოახდენს. ამის გამო აუცილებელია პირდაპირი შეთანხმება რომელიმე ბურჟუაზიულ ქვეყანასთან. მან აღნიშნა, რომ მსგავს ჩანასახოვან შეთანხმებას წარმოადგენს ჩვენი შეთანხმება რეიხსვერთან. მაგრამ ეს შეთანხმება სრულებითაც არ აკმაყოფილებს არც ტროცკისტებს, არც გერმანელთა მხარეს ორი მიზეზის გამო. ჯერ ერთი, ჩვენს კონტრაგენტს ამ საქმეში წარმოადგენს მხოლოდ რეიხსვერი, და არა გერმანიის მთავრობა მთლიანად. მეორე. რაში მდგომარეობს რეიხსვერთან შეთანხმების ღედაარსი? ჩვენ ვღებულობთ მცირეოდენ ფულადს თანხას, ისინი კი ღებულობენ ჯაშუშურ ინფორმაციას, რომელიც მათთვის საჭირო იქნება სამხედრო თავდასხმის დროს, მაგრამ გერმანიის მთავრობას, კერძოდ ჰიტლერს, ხომ კოლონიები ტერიტორიები უნდათ, და არა მარტო ჯაშუშური ინფორმაცია. და იგი მზად არის ნაცვლად იმ კოლონიებისა, რომლებისთვისაც საჭიროა ბრძოლა ინგლისთან, ამერიკასთან და საფრანგეთთან, დაკმაყოფილდეს საბჭოთა კავშირის ტერიტორიით. ჩვენ კი გვჭირია არა 250 ათასი ოქროს მარკა, ჩვენ გვჭირია გერმანიის შეიარაღებული ძალები იმისათვის, რომ მათი დახმარებით ჩავუდგეთ სათავეში ხელისუფლებას, და ამ მიმართულებით არის საჭირო მუშაობის წარმოება. ეს მუშაობა არის მოღალატური შეთანხმება უცხო მთავრობასთან იმის შესახებ, რომ უცხოეთის შეიარაღებული ძალები გამოყენებულ იქნას წითელი არმიის დასამარცხებლად და იმისათვის, რომ ტროცკისტებს გზა გაეხსნათ ხელისუფლებისაკენ.

მაგრამ თუნდაც რომ მოხდეს თავდასხმა, ვთქვათ, გერმანიისა საბჭოთა კავშირზე, ეს კიდევ არ იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ ხელში ჩავიგდოთ ხელისუფლების აპარატი, თუ ჩვენ ამ მიმართულებით არ გვეყოლება მომზადებული სათანადო შინაგანი ძალები. ხოლო ტროცკისტები, როგორც ასეთნი, არ არიან საკმაოდ მრავალრიცხოვანი და ძლიერნი, რომ მარტო მათ შეჰქმნან ასეთი ორგანიზაცია. აუცილებელია დასაყრდენი გვქონდეს ქალაქშიც და სოფლადაც წვრილ ბურჟუაზიასთან და კულაკებთან, იქ კი კავშირი, უმთავრესად, მემარჯვენეებს აქვთ. დასასრულ, აუცილებელია გვქონდეს დასაყრდენი, ორგანიზაცია წითელ არმიაში, მეთაურებს შორის, რათა შეერთებული ძალღონით საჭირო მომენტში ჩავიგდოთ ხელში უმნიშვნელოვანესი პუნქტები. სათავეში ჩავუდგეთ ხელისუფლებას.

აქედან გამომდინარეობდა: პირველი გეზი მიმართული იყო უცხოეთის მთავრობებთან შეთანხმებისაკენ, მეორე — საბჭოთა კავშირში ტროცკისტებისა, მემარჯვენეებისა და სამხედრო შეთქმულთა გაერთიანებული ძალების შექმნისაკენ.

ლაპარაკობდა რა მემარჯვენეების შესახებ, იმის შესახებ, რომ აუცილებელია ორგანიზაციულად დაკავშირება მათთან, ტროცკი ამბობდა, რომ არ უნდა დავკმაყოფილდეთ რიკოვით, ბუხარინით და ტომსკით, ვინაიდან თუმცა ისინი მემარჯვენეთა აღიარებული ბელადები არიან, მაგრამ მათ უკვე საკმაოდ გატეხილი აქვთ სახელი, და რომ საჭიროა გამოყენებულ იქნას კავშირისათვის რუძუტაკი, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში იყო საბჭოთა მთავრობაში და არასოდეს არავის არ გაუგონია, რომ მას რაიმე უთანხმოება ჰქონოდა პარტიასთან, და ამიტომ ყურადღება უნდა მიექცეს მას და კავშირი უნდა დამყარდეს მასთან.

რაც შეეხება სამხედროებს, ლაპარაკობდა რა მათ შესახებ, ტროცკიმ მხოლოდ ერთი სახელი ახსენა — ტუხაჩევსკის სახელი, როგორც ბონაპარტისტული ტიპის კაცისა, ავანტურისტისა, პატივმოყვარისა, რომელიც ისწრაფვის შეასრულოს არა მარტო სამხედრო, არამედ სამხედრო-პოლიტიკური როლიც, და რომელიც, უეჭველია, გამოგვყვება.

შემდეგ ტროცკიმ განავითარა აზრი, რომ საჭიროა ტერორი, მავნებლობა და დივერსიები, ამასთანავე დივერსიულ აქტებსა და ტერორისტულ აქტებს იგი უყურებდა იმ თვალსაზრისით, რომ ისინი გამოყენებული ყოფილიყვნენ ომიანობის დროს და წითელ არმიაში თავდაცვის დეზორგანიზაციისათვის, გადატრიალების მომენტში მთავრობის დეზორგანიზაციისათვის. და იმავე დროს ეს დივერსიული და ტერორისტული აქტები მას, ტროცკის, დიდ სიმტკიცესა და რწმენას მისცემდნენ უცხო მთავრობებთან მოლაპარაკების დროს, ვინაიდან მას შეეძლებოდა მიეთითებინა იმაზე, რომ მისი მომხრეები საბჭოთა კავშირში საკმაოდ ძლიერნიც არიან და საკმაოდ აქტიურნიც.

ის კისრულობდა მოლაპარაკებას გერმანელებთან. რაც შეეხება იაპონელებს, რომელთა შესახებაც ის ლაპარაკობდა, როგორც ისეთი ძალის შესახებ, რომელთანაც საჭიროა აგრეთვე შეთანხმება, ის ამბობდა, რომ მისთვის ჯერჯერობით ძნელია უშუალოდ მათთან დაკავშირება, რომ საჭირო იქნება ლაპარაკი მათთან მოსკოვში, რომ ამისათვის უნდა გამოყენებულ იქნას სოკოლნიკოვი, რომელიც საგარეო საქმეთა კომისარიატში მსახურობს და სწორედ აღმოსავლეთის საქმეებზე მუშაობს. ის მთხოვდა მეცნობებინა პიატაკოვისათვის ყველა ამ მიზანდასახულობათა და კერძოდ იმის შესახებ, რომ საჭიროა კავშირის გაბმა იაპონელებთან. გარდა ამისა, მან მთხოვა მე არ დავჯერებოდი პიატაკოვის საუბარს ტუხაჩევსკისა და რუძუტაკთან, და მეც მენახა ისინი, იმიტომ რომ მე მაქვს შესაძლებლობა ვუამბო მათ ტროცკისთან უშუალო საუბრის შესახებ, უშუალო შთაბეჭდილების შესახებ, ამას კი ამ მხრივ შეუძლიან რამდენადმე მეტი გავლენა მოახდინოს. ამით ვამთავრებ ჩემს შეხვედრას ტროცკისთან მერანში.

მე უნდა მოგახსენოთ ჩემ მოქმედებათა შედეგებზე საზღვარგარეთიდან დაბრუნების შემდეგ. დავბრუნდი თუ-არა, მე მაშინვე ინფორმაცია მივაწოდე პიატაკოვსა და როზენგოლცს ჩემი ლაპარაკის შესახებ. პიატაკოვი მოელაპარაკა ტუხაჩევსკისა და რუძუტაკს.

1934 წ. თებერვალს მე ვინახულე ტუხაჩევსკიც და რუძუტაკიც, გადავეცი საუბრის შინაარსი. ორივესაგან მივიღე პრინციპული დადასტურება, აღიარება უცხო სახელმწიფოებთან შეთანხმების ხაზისა, მათი მხრივ სამხედრო დახმარებისა, დამარცხებისაკენ გეზის აღებისა, შინაგანი გაერთიანებული ორგანიზაციის შექმნისა. შემდეგ ამისა მათ განაცხადეს, რომ მათთვის საკითხი პრინციპში კი არა, არამედ თავისი ძალების გამორკვევის აუცილებლობაში მდგომარეობს. ამის შემდეგ მიეცემა საბოლოო პასუხი პიატაკოვს, როგორც ტროცკისტული ორგანიზაციის მთავარ წარმომადგენელს სსრ კავშირში.

ჯერ კიდევ ჩემს მიერ პიატაკოვისაგან ცნობის მიღებამდე იმის შესახებ, რომ საქმე უკვე დაგვირგვინებულია და შეთანხმება დადებულია, მეც უკვე შევუდექი ჩემს სახკომატში ძალთა შერჩევას და ვსახავდი, თუ ვის შემეძლო დავყრდნობოდი კონტრრევოლუციურ გამოსვლის შემთხვევაში.

1935 წლის დამდეგს პიატაკოვმა გამოგზავნა ცნობა, რომ შეთანხმება უკვე არის, დაასახელა ცენტრის შემადგენლობა, რაც მე უკვე მოვიყვანე გუშინ, და გვაცნობა, რომ მე და როზენგოლცი ცენტრის შემადგენლობაში არ შევალთ და მისი ხელმძღვანელობით ვიმუშავებთ უმთავრესად, მომავალი მთავრობის აპარატის შესარჩევად და მოსამზადებლად. ეს იყო შრომის განაწილება. ჩვენ მითითებული გვქონდა, რომ ამ საქმეში დაკავშირებული ვიქნებოდით რუძუტაკთან მემარჯვენეთაგან და ტუხაჩევსკისთან.

ახლა გამოსვლის ვადების დასახვის შესახებ. მერანში ჩემი შეხვედრის მომენტიდან უცილობლად დადგენილად ითვლებოდა, რომ გამოსვლა ომის დაწყებას უფარდდება და რომ ამიტომ აქ, საბჭოთა კავშირში, დამოუკიდებლად ვერ დავაწესებდით ტუხაჩევსკის გამოსვლის ვადებს. ეს საკითხი ჩემსა და როზენგოლცის კომპეტენციას სცილდებოდა: ჩვენ დაკავშირებული ვიყავით ტუხაჩევსკისთან, რუძუტაკთან და რიკოვთან, მაგრამ მაღალი პოლიტიკისა და გამოსვლის ვადების საკითხებზე პიატაკოვი აწარმოებდა მოლაპარაკებას. ჩვენ ვუცდიდით ომის დაწყებას, ვუცდიდით თავდასხმას. როცა პიატაკოვისა და რადეკის დაპატიმრების შემდეგ ბესონოვი ბერლინს მიემგზავრებოდა, მე, ვისარგებლე რა მისი გამგზავრებით, სიტყვიერი ინფორმაცია მივაწოდე ტროცკის იმის შესახებ, რომ მე, როზენგოლცსა და რუძუტაკთან შეთანხმებით, მდგომარეობას ასეთ ფორმულირებას ვაძლევ: ჩვენ ვთვლით, რომ საკმაოდ ბევრი ტროცკისტია დაპატიმრებული, მაგრამ ამის მიუხედავად, ამ ანტისაბჭოთა შეთანხმების ძირითადი ძალები—ტროცკისტები, მემარჯვენეები და სამხედრო შეთქმულნი—ჯერ კიდევ ხელუხლებელი არიან, განადგურებული არ არიან, რომ გამოსვლა შესაძლებელია შესდგეს და რომ საჭიროა ამისათვის ცენტრმა დააჩქაროს უცხოელთა საგარეო გამოსვლები. ეს იყო 1936 წლის ოქტომბერში. მაგრამ 1936 წლის ნოემბრის დამლევს, საბჭოების VIII საგანგებო ყრილობაზე ტუხაჩევსკის აღელვებული სერიოზული საუბარი ჰქონდა ჩემთან. მან სთქვა: დაიწყო ჩავარდნები. ცხადია, ტროცკისტებისა და მემარჯვენეების შემდგომი განადგურება მოხდება. მას დასკვნები გამოჰქონდა: ინტერვენციის მოლოდინი არ უნდა გვქონდეს, თვითონ უნდა ვიმოქმედოთო. ტუხაჩევსკი ლაპარაკობდა არა მარტო თავისი სახელით, არამედ სამხედროთა კონტრრევოლუციური ორგანიზაციის სახელითაც. მე მოველაპარაკე როზენგოლცს, შემდეგ მოველაპარაკე რუძუტაკს და იმ დასკვნამდე მივედით, რომ ტუხაჩევსკი მართალი იყო, რომ საქმის გადადება არ შეიძლებოდა. გადავსწყვიტეთ შევკითხოდით ტროცკის. ბესონოვის საშუალებით მე დიპლომატიური ფოსტით გადავუგზავნე წერილი ტროცკის. წერილში ლაპარაკი იყო იმის შესახებ, რომ შეგვეცვალა გეზი, აუცილებლად დაგვეკავშირებინა ომთან ჩვენი შინაგანი გამოსვლა. მე ვლაპარაკობდი გამოსვლის დაჩქარების აუცილებლობაზე. ჩემთვის ცხადი იყო, რომ ასეთი გამოსვლის დროს საჭირო გახდებოდა დაგვემალა საბჭოთა ხალხისათვის გადატრიალების ნამდვილი მიზნები. ჩვენ ვთანხმდებოდით კაპიტალისტურ ურთიერთობათა აღდგენაზე სსრ კავშირში და ტერიტორიულ დათმობებზე ბურჟუაზიულ სახელმწიფოებისათვის, რომლებთანაც ამის შესახებ უკვე შეთანხმებული ვიყავით. ჩვენ ვერ ვბედავდით, რომ ამის შესახებ აშკარად გაგვეცხადებინა საბჭოთა ხალხისათვის. მე დავსვი ტროცკის წინაშე საკითხი იმის შესახებ, რომ ჩვენ გამოგვეშვა სათანადო მიმართვები მოსახლეობისა და არმიის მიმართ, სადაც გვერდი უნდა აგვევლო გადატრიალების ნამდვილ მიზნებთან დაკავშირებულ ყველა საკითხისათვის. ეს წერილი ბესონოვმა ტროცკის გადაუგზავნა, ტროცკიმ უპასუხა, რომ ის თანახმა იყო.

ვიშინსკი: როდის მიიღეთ პასუხი?

კრესტინსკი: პასუხი, ალბად, მივიღეთ დეკემბრის დამლევს ან იანვრის დამდეგს. აღმოჩნდა, რომ ტროცკის თავისი ინიციატივით დასვა კითხვა გამოსვლის დაჩქარების შესახებ და გამოეგზავნა ეს მითითება რუძუტაკის სახელზე სხვა, შემოვლითი გზით გადმოგზავნილ წერილში. და აი ამ პასუხის მიღების შემდეგ დაიწყო სწორედ გამოსვლის უშუალო მომზადება.

დაახლოებით თებერვლის დამდეგისათვის მოხდა ცენტრში როზენგოლცისა და ჩემი შესვლის გაფორმება. ნოემბერში როზენგოლცს, მე და გამარნიკს მოგვიხდა გვეკისრა ტროცკისტული ორგანიზაციის ხელმძღვანელობა. პიატაკოვი უკვე აღარ იყო, აღარც რადეკი. ჩვენთვის საჭირო გახდა საუბრის წარმოება ტუხაჩევსკისა და რუძუტაკთა, მიწერ-მოწერის წარმოება უშუალოდ ტროცკისთან. შემდეგ შესდგა ჩვენი თათბირი როზენგოლცის ბინაზე, ამ თათბირზე დათქმულ იქნა გამოსვლის ვადა—მაისის მეორე

(გაგრძელება იხ. მე-3 გვ.)

---

*) შემოკლებული სტენოგრამა.

*) შემოკლებული სტენოგრამა.

ანტისაბჭოთა „მემარჯვენე-ტროცკისტული ბლოკის“ პროცესი

ბრალდებულ კრესტინსკის მეორე დაკითხვა

(დასასრული)

ნახევარი. მაგრამ მაისის დამდეგსვე გამოირკვა, რომ ტუხაჩევსკი არ მიდის ლონდონს. ამ დროისათვის შუააზიიდან დაბრუნდა რუძუტაკი. რუძუტაკის დაბრუნების შემდეგ და იმის გამორკვევის შემდეგ, რომ ტუხაჩევსკი ლონდონს აღარ მიდიოდა, მან განაცხადა, რომ მას შეუძლია მოახდინოს ეს გამოსვლა მაისის პირველ ნახევარში.

1935 წლიდან მე კავშირი მქონდა მოსკოვის პარტიული ორგანიზაციის სამ პასუხისმგებელ მუშაკთან, რომლებიც ფარული ტროცკისტები იყვნენ,—პოსტოლოვსკისთან, ფურერთან და კორიტნთან.

მე დავუკავშირდი მათ, ვუთხარი, რომ ახლოვდება გამოსვლა და ამიტომ საჭიროა მათ შეადგინონ მოსკოვში იმ ადამიანთა სიები, რომლებიც დაპატიმრებულ და მოხსნილ უნდა იქნან პოსტებიდან გამოსვლის მომენტში, და იმ ადამიანთა სიები, რომლებიც შეიძლება დაინიშნონ ამ განთავისუფლებულ ადგილებზე. შევთანხმდით, რომ მე შევძლებდი სათანადო სიების მიღებას დაახლოებით 12 მაისისათვის. მაგრამ მაისის პირველ რიცხვებში დაიწყო კონტრრევოლუციური ორგანიზაციის განადგურება. ცხადი შეიქნა, რომ გამოსვლა შეუძლებელი ხდება. ამის შემდეგ რამდენიმე დღე გავიდა და მეც დამაპატიმრეს.

ტუხაჩევსკისთან შეხვედრის დროს ეს უკანასკნელი დაჟინებით მოითხოვდა, რომ კონტრრევოლუციურ გამოსვლამდე მოგვეხდინა რამდენიმე ტერორისტული აქტი. რამდენადაც ტუხაჩევსკი მოითხოვდა ტერორისტული აქტების მოხდენას, ჩვენ მივეცით თანხმობა და განვუცხადეთ, მას, რომ მივცემთ ტერორისტ-შემსრულებლებს. გამარნიკმა ჩვენ გვითხრა, რომ მასაც ჰყავს ტერორისტული აქტების შემსრულებელი კადრელები.

ვიშინსკი: თქვენი ყოველგვარი მერყეობისა და ერთმანეთის საწინააღმდეგო განცხადებათა შემდეგ, რომლებითაც თქვენ აქ სასამართლოში გამოდით, ახლა სცნობთ თავს დამნაშავედ წაყენებულ ბრალდებებში?

კრესტინსკი: დიახ, ვცნობ.

ბრალდებულ რაკოვსკის დაკითხვა*

თავმჯდომარე ულრიხი: ბრალდებულო რაკოვსკი, ადასტურებთ თუ არა წინასწარი გამოძიების დროს მიცემულ ჩვენებებს?

რაკოვსკი: სავსებით ვადასტურებ.

ვიშინსკი: ბრალდებულო რაკოვსკი, გვიამბეთ მოკლედ რაში სცნობთ თავს დამნაშავედ ამ საქმის გამო?

რაკოვსკი: 1932 წელს ზაფხულზე, როდესაც ნოვოსიბირსკში გავიარე, მე შევხვდი ნ. ი. მურალოვს. მან მითხრა, რომ ტროცკისაგან მიღებულია მითითებანი ბრძოლის ახალ—ტერორისტულ მეთოდებზე გადასვლის შესახებ. ტროცკი მიუთითებდა, რომ ოპოზიციის განადგურების შემდეგ ბრძოლის ძველი მეთოდები უკვე არ გამოდგება ხელისუფლების დასაპყრობად.

წლინახევრის შემდეგ, 1934 წლის თებერვალში, მე დეპეშა გავუგზავნე საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს, რომ იდეურად და ორგანიზაციულად სავსებით განვიარაღდი და გთხოვთ დამაბრუნოთ პარტიაში მეთქი. ეს დეპეშა არ იყო გულწრფელი, მე ვიცრუე, განზრახ ვცდილობდი დამემალა პარტიისა და სახელმწიფოსათვის ჩემი კავშირურთიერთობა „ინტელიჯენს-სერვისთან“ 1924 წლიდან, ტროცკის კავშირურთიერთობა „ინტელიჯენს-სერვისთან“ 1926 წლიდან, მე ვცდილობდი დამემალა ჩემი საუბარი მურალოვთან 1932 წელს.

როდესაც მაისში მოსკოვს დავბრუნდი, მე შევხვდი სოსნოვსკის. სოსნოვსკიმ მითხრა, რომ ძველი ტროცკისტული ოპოზიციის ყოფილი ხელმძღვანელები კვლავ უბრუნდებიან აქტიურ არალეგალურ მუშაობას.

1934 წლის ივლისის მეორე ნახევარში მე ტროცკისაგან მივიღე წერილი. ამ წერილში იგი მთხოვდა გამომეყენებინა ჩემი ფართო კავშირურთიერთობა საზღვარგარეთულ პოლიტიკურ, უმთავრესად „მემარცხენე“, წრეებთან. მე ამ მითითებათა აზრი ასე გავიგე: საჭიროა განმტკიცდეს და გაძლიერდეს კაპიტალისტური აგრესია საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ამ წინადადებაზე მე დავთანხმდი. ამ მომენტიდან მე უკვე ორივე ფეხით დავდექი ტროცკიზმის პოზიციაზე.

1934 წლის სექტემბერში მე გამგზავნეს ტოკიოს, სადაც სათავეში ვუდექი საბჭოთა წითელი ჯვრის დელეგაციას წითელი ჯვრის საზოგადოებათა საერთაშორისო კონფერენციაზე. ტოკიოში ჩასვლის მეორე დღესვე იაპონიის წითელი ჯვრის შენობის დერეფანში მე შემხვდა იაპონიის ერთერთი დიდი საზოგადო მოღვაწე. (მე მას ვასახელებ დახურულ სხდომაზე). მან ჩაიზე მიმიპატიჟა. გავეცანი მას და დადებითად მივიღე მისი თავაზიანი მიპატიჟება. ლაპარაკის დროს აღნიშნულმა პირმა მითხრა: იმ პოლიტიკური მიმდინარეობის ინტერესები, რომლებსაც მე ვეკუთვნი სსრ კავშირში, და ერთერთი მთავრობის ინტერესები სავსებით ემთხვევიან ერთმანეთს. მან განმიცხადა, რომ ამ მთავრობისათვის და მისთვის ძალიან საჭიროა იცოდნენ, თუ როგორ ვაფასებ მე საბჭოთა კავშირის საშინაო პოლიტიკურ მდგომარეობას. იმავე საღამოს მე საუბარი მქონდა სრულუფლებიან წარმომადგენელ იურენევთან, რომელსაც ჯერ კიდევ 1926 წლიდან ვიცნობდი, როგორც ტროცკისტს. მე მას გადავეცი იმ რამდენიმე უცნაური ლაპარაკის შინაარსი, რომელიც ჩემთან ჰქონდა ჩემ მიერ აღნიშნულ პიროვნებას. მე ვუთხარი იურენევს, რომ აქ ლაპარაკი ჩემს გადაბირებაზე ერთერთი მთავრობის ჯაშუშად, ინფორმატორად.

მაშინ იურენევმა ჯიბიდან ამოიღო წერილი და მითხრა: „საქმე გართულებულია, რა საჭიროა მერყეობა“. მან მიჩვენა პიატაკოვის წერილი, რომელიც მას მე თვითონ მოვუტანე მოსკოვიდან. პიატაკოვი მას სწერდა: „ალბათ ერთერთი მთავრობა თვითონვე გადასდგამს ნაბიჯს ამ მიმართულებით (ესე იგი, რაკოვსკის გამოყენების მიმართულებით)“. შემდეგ პიატაკოვი სწერდა იურენევს სრულუფლებიანი ელჩის ჩინეთში — ბოგომოლოვის შესახებ და აღნიშნავდა, რომ ერთერთი მთავრობა უკმაყოფილოა მისი პოლიტიკური ხაზით, რომ იგი უფრო მეტად ემხრობა დიდ ბრიტანეთს, ვიდრე მოცემულ მთავრობას. ბოლოს, იურენევმა, განაგრძობდა რა წერილის კითხვას, მითხრა: „აი ეს ჩემთვის ძნელი გასაკეთებელია“. იქ მას სწერდნენ, რომ საჭიროა გამოეყენებინა ცნობილი მოლაპარაკება აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინიგზის გაყიდვის შესახებ იმისათვის, რათა შესაძლებელი ყოფილიყო რაიმე ეშოვნათ ტროცკისტების სასარგებლოდ. იურენევი დაკავშირებული იყო არალეგალურად მომუშავე ტროცკისტებთან მოსკოვში, პიატაკოვთან.

იურენევთან ჩემი საუბრის მეორე თუ მესამე დღეს, ერთერთი საზეიმო სადილის შემდეგ, მე გამეცნო ერთი დიდი თანამდებობის პირი, რომელიც ამ სადილს დაესწრო. ოფიციალურმა პირმა განაცხადა, რომ ჩვენი ინტერესები ემთხვევა ერთერთი სახელმწიფოს ინტერესებს, რომ სსრ კავშირში მყოფ ტროცკისტებსა და ამ ერთერთი სახელმწიფოს წარმომადგენლებს შორის მიღწეულია შეთანხმება. ამის შემდეგ მე კიდევ ორჯერ შევხვდი საზოგადო მოღვაწეს...

---

*) შემოკლებული სტენოგრამა.

5 მარტის დილის სხდომის დღიური

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის 5 მარტის დილის სხდომის მთელი პირველი ნახევარი მოუნდა ბრალდებული რაკოვსკის დაკითხვას.

რაკოვსკი, მისივე საკუთარი აღიარებით, 35 წლის განმავლობაში არის გაუსწორებელი ობერ-ბანდიტის ტროცკის „პოლიტიკური და პირადი მეგობარი“. მთელი ამ წლების განმავლობაში რაკოვსკი მის მუდმივი მომხრე და მეაბჯრე იყო, არ სწყვეტდა მასთან კავშირურთიერთობას, რწმენითა და გულით ემსახურებოდა ფაშიზმის ამ ერთგულ დაქირავებულ აგენტს.

ფაქტები ულმობელია. რაკოვსკის სახიდან ნიღაბი ჩამოგლეჯილია. სასამართლოს წინაშე იგი წარსდგა, როგორც მტაცებელი, ვერაგი მტერი, მხეცური ბოროტებით გაქლენთილი სოციალიზმის წინააღმდეგ, საბჭოთა ხალხის წინააღმდეგ, როგორც პირწავარდნილი ჯაშუში, რომელიც ფაშისტურ დაზვერვებს მიეყიდა.

ჯერ კიდევ 1924 წელს რაკოვსკი მიეყიდა „ინტელიჯენს-სერვისს“, ტროცკის ლოცვაკურთხევით ის ინგლისური დაზვერვის ჯაშუში გახდა.

მაგრამ... არის ყველა საფუძველი ვიფიქროთ, რომ რაკოვსკის ჯაშუშური პროფესია მნიშვნელოვნად უფრო ადრე დაიწყო. იგი სასამართლოს აცნობებს, რომ „ინტელიჯენს-სერვისის“ აგენტებმა არმსტრონგმა და ლეკერტმა, რომლებიც ინგლისის დაზვერვის დავალებით 1924 წელს ლონდონში მასთან მივიდნენ, წაუყენეს წერილი, დაწერილი იმპერიალისტური ომის დროს და განკუთვნილი გერმანული დაზვერვისათვის. წერილი შეიცავდა ჯაშუშურ ცნობებს რუმინეთის შესახებ. წერილს ჰქონდა რაკოვსკის ხელმოწერა.

სასამართლოში რაკოვსკი ცდილობს უარჰყოს თავისი ხელმოწერის სინამდვილე და ამხ. ვიშინსკის კითხვებს ამის თაობაზე მიკიბულ-მოკიბულ პასუხს აძლევს.

სახელმწიფო ბრალმდებელს ამხ. ვიშინსკის უფლება ჰქონდა დიდი ეჭვი გამოეთქვა სასამართლოში, რომ წერილი, რომელიც არმსტრონგმა და ლეკერტმა რაკოვსკის წაუყენეს, ნამდვილი იყო და არა ყალბი და რომ უკვე მაშინ, მსოფლიო ომის დროს, რაკოვსკი, რომელიც რუმინეთში იმყოფებოდა, გერმანული დაზვერვის აგენტი იყო.

ბანდიტები ერთმანეთის შესაფერისი იყვნენ. ისინი ერთად ახორციელებდნენ მტრულ ანტისაბჭოთა ზრახვებს, ისინი ერთად ჯაშუშობდნენ უცხოეთის დაზვერვათა სასარგებლოდ პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლის ინტერესებისათვის. რაკოვსკის აღიარება გვიჩვენებს, თუ რაოდენ დაბალა დაეცნენ ეს გამცემლები.

რაკოვსკი სასამართლოს აცნობებს, რომ ის 1928 წელს შეხვდა ტროცკის. ტროცკიმ, ალმა-ატაში გადასახლების წინა დღეს, გაუზიარა თავის თანამოაზრეებს ალმა-ატიდან საზღვარგარეთ გაქცევის გეგმა. რაკოვსკის კითხვაზე, რანაირად ფიქრობს ტროცკი გაიქცეს შუააზიის უდაბნოებსა და მთებზე, ტროცკიმ უთხრა, რომ მან „ინტელიჯენს-სერვისის“ დახმარების იმედი აქვს, და იქვე ტროცკიმ კონფიდენციალურად აცნობა რაკოვსკის, რომ ის, ტროცკი, დაკავშირებულია „ინტელიჯენს - სერვისთან“ 1926 წლიდან კონცესია „ლენა-გოლდფილდსის“ ერთერთი წარმომადგენლის საშუალებით და რომ ინგლისის დაზვერვა დაეხმარება მას საბჭოთა კავშირიდან გაქცევაში.

ასე კეთდებოდა კონტრრევოლუციური საქმეები. რაკოვსკი აძლევს ჯაშუშურ მასალებს „ინტელიჯენს-სერვისს“. ამასვე სჩადის ტროცკი. რაკოვსკი ახალი აგენტების გადაბირებას ახდენს ინგლისის დაზვერვისათვის. ტროცკი ამ დაზვერვის მხრივ გაწეული ზოგიერთი სამსახურის სანაცვლოდ ეხმარება ინგლისელ კონსერვატორებს განახორციელონ ურთიერთობის გაწყვეტა საბჭოთა კავშირთან. იგი კონსულტაციას აძლევს „შუბლმაგარ“ კონსერვატორს ჰიკსს, თუ როგორ აჯობებს სსრ კავშირთან ინციდენტის შექმნა. იგი ჩასჩურჩულებს არკოსზე თავდასხმის შესახებ. ეს კიდევ ცოტაა, არკოსში მყოფი თავისი ხელქვეითების საშუალებით იგი უზრუნველჰყოფს ჰიკსს „საბაბითაც“ ურთიერთობის გაწყვეტისათვის, სთხზავს პროვოკაციულ საბუთებს, რომლებიც ლონდონელმა ტროცკისტებმა მიაგდეს არკოსის სადგომში.

ასეთია „პოლიტიკური და პირადი მეგობრობა“ გაკოტრებული ბანდიტებისა.

ეს მჭიდრო თანამზრახველობა ჯაშუშებისა და არამზადებისა, რომლებიც გაერთიანებული იყვნენ ერთნაირი მოსისხარი ინტერესებით, გრძელდება მას შემდეგაც, რაც ტროცკი გაძევებულ იქნა საბჭოთა კავშირის საზღვრებიდან, ვიდრე რაკოვსკის დაპატიმრებამდე.

1934 წლის სექტემბერში რაკოვსკი, როგორც წითელი ჯვრის საზოგადოების საბჭოთა დელეგაციის მეთაური, გაემგზავრა საერთაშორისო კონფერენციაზე ტოკიოში. და იქ იგი სიამოვნებით აკმაყოფილებს იაპონიის გაბატონებული წრეების ვინმე მაღალთანამდებობის პირის სურვილებს ითანამშრომლოს იაპონიის დაზვერვასთან „იმ მიმდინარეობის (ე. ი. ტროცკიზმის) სასარგებლოდ,—როგორც ეს ხსენებულმა პირმა განაცხადა,—რომელსაც თქვენ (ე. ი. რაკოვსკი) წარმოადგენთ“.

შედეგი ნათელია:

„მე დავბრუნდი საბჭოთა კავშირში იაპონიის ჯაშუშის მანდატით“,—ცინიკურად აცხადებს ბრალდებული.

რაკოვსკი უკავშირდება საფრანგეთის მემარჯვენე-ბურჟუაზიული წრეების წარმომადგენლებს და ძირგამომთხრელ მუშაობას აწარმოებს საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის დაახლოების წინააღმდეგ.

ერთ მტრულ აქტს მოსდევს მეორე. გამცემლობას მოსდევს გამცემლობა. ტროცკისტის თანამოლვაწე, რუმინელი მემამულე, საბოლოოდ ცრუპენტელად ქცეული ავანტიურისტი, იგი გულმოდგინედ ასრულებს საბჭოთა ხალხის დაუძინებელი მტრის ტროცკისა და მათი საერთო ბატონპატრონის — ფაშისტ აგრესორების დავალებებს.

დაკითხვა სავსებით აშიშვლებს რაკოვსკის ავაზაკურ ბოროტმოქმედებათ, და როდესაც პროკურორი ამხ. ვიშინსკი, უკეთებს რა რეზუმეს რაკოვსკის ჩვენებებს, ეკითხება მას, თუ როგორი კვალიფიკაცია უნდა მიეცეს ყველა ამ ბოროტმოქმედებასო, გამომჟღავნებული ჯაშუში ვერარავითარ გამოსავალს პოულობს და სავსებით აღიარებს თავისთავს დამნაშავედ სახელმწიფო ღალატში, საზიზღარ ანტისაბჭოთა საქმიანობაში, სახელმწიფო გადატრიალების მზადებაში ფაშიზმის სასარგებლოდ, მასში, რომ „მემარჯვენე-ტროცკისტული ბლოკი“ ფაშისტური აგრესიის რაზმს წარმოადგენს.

* * *

დილის სხდომის მეორე ნახევარში სასამართლო გადადის ბრალდებული ზელენსკის დაკითხვაზე.

წარმოუდგენელი ცინიზმით უჩვენებს ზელენსკი თავის კოშმარულ ბოროტმოქმედებათა შესახებ რევოლუციისა და საბჭოთა ხალხის წინააღმდეგ. 1911 წელს იგი სამარის ჟანდარმთა სამმართველოს მიერ აყვანილი იყო აგენტ-ინფორმატორად. მას ოხრანკაში უწოდეს „ოჩკასტი“, შემდეგ კი „სალაფი“. მის „ნამსახურობის ნუსხაში“ რამდენიმე ხნის შემდეგ უკვე იყო აღნიშნული სამარის სოც.-დემ. ორგანიზაციის ხელმძღვანელთა გაცემა, სამარის მთელი სოც.-დემ. ორგანიზაციის ჩავარდნის მომზადება და განხორციელება. მაგრამ ზელენსკის პროვოკატორული სტაჟი ამით არ ამოიწურება.

სახელმწიფო ბრალმდებელი ამხ. ვიშინსკი მოაგონებს ბრალდებულს მისი კავშირურთიერთობის შესახებ არამარტო სამარის, არამედ აგრეთვე სარატოვისა და ორენბურგის ოხრანკებთანაც. მისი ბატონ-პატრონები აფასებდნენ თავის ერთგულ ქოფაკს. ზელენსკიმ თავისი პროვოკატორული მუშაობა დაიწყო 25 მანეთიანი თვიური „ჯამაგირით“, ხოლო რამდენიმე ხნის შემდეგ იგი უკვე... 100 მანეთს ღებულობდა.

საზიზღარი გამცემელი ზელენსკი ცდილობს თავი ისე მოგვაჩვენოს თითქოს არაფერი ახსოვდეს.

მაშინ ამხ. ვიშინსკი აქვეყნებს ორენბურგის ოხრანკის მომართვას, რომელშიც ოხრანკის ხელმძღვანელი იძლეოდა შეკითხვას: „გთხოვთ გვაცნობოთ, რა შეიძლებოდა შემთხვეოდა უკანასკნელ ხანებში ზელენსკის?“

პროვოკატორი ზელენსკი აინტერესებდა აგრეთვე სარატოვის ოხრანკასაც.

პროკურორი ეუბნება:—მაშასადამე, ყველა ეძებს თქვენთან კავშირს და ზრუნავს თქვენს ბედზე. ასეა თუ არა? და „ოჩკასტი“ უპასუხებს:—ფაქტები ასეთია.

ეშინია რა თავის გამოჟღავნებისა, ზელენსკი ემხრობა კაპიტალიზმის მემარჯვენე რესტავრატორების ფაშისტურ ბანდას. იყო რა პასუხისაგებ სამუშაოზე შუა აზიაში, იგი ბურჟუაზიულ ნაციონალისტებთან ერთად ახორციელებდა მავნებლობას ყველგან და ყველაფერში. ეს ისაა, ვინც უალრესად უხეშ გადახვევებს ახორციელებდა შუააზიის საკოლმეურნეო მშენებლობაში.

მემარჯვენე-ტროცკისტული ბანდის მავნებლები და დივერსანტები, რომლებიც „ცენტროსოიუზში“ მოქმედებდნენ ობერ-ბანდიტის ზელენსკის მეთაურობით, პირველ ყოვლისა ფუშავდნენ ფართო მოხმარების საქონლით ვაჭრობას. მაგალითად, 1936 წლის პირველ კვარტალში კურსკის ოლქის ბევრი რაიონი მთელი კვირაობით არ ღებულობდა შაქარს. ლენინგრადის ოლქის რაიონებს დიდხანს არ ჰქონდათ წეკო. 1936 წლის ზაფხულში ბელორუსიის მთელი რიგი სასოფლო საზღვრისპირა რაიონები ხანგრძლივი დროის განმავლობაში არ ღებულობდნენ გამომცხვარ პურს. იმავე წელს „ცენტროსოიუზის“ მავნებლებმა ზელენსკის მითითებით მოსკოვში მოსპეს 50 ვაგონი კვერცხი.

შემდეგ ფაშისტი მახინჯი ზელენსკი აღუშფოთველად აჩვენებს, რომ სავაჭრო ინსპექციის მიერ სავაჭრო ქსელის გამოკვლევის შემდეგ 1936 წლის პირველ კვარტალში მარილი არ იყო 3.700 დუქანში. 2 ათას დუქანში არ აღმოჩნდა შაქარი. 1.600 დუქანს არ ჰქონდა წეკო.

ხსნის რა ზელენსკისა და მის თანამზრახველთა მიერ ერბოს წარმოებისა და ვაჭრობის დარგში ჩადენილ დანაშაულობათა ხლართს, ამხ. ვიშინსკი ეკითხება:

— იყო თუ არა შემთხვევები, რომ თქვენი ორგანიზაციის წევრები, რომლებსაც დამოკიდებულება ჰქონდათ ერბოს საქმესთან, მინას ჰყრიდნენ ერბოში?

ზელენსკი: იყო შემთხვევები, როცა ერბოში აღმოჩნდებოდა ხოლმე მინა.

ვიშინსკი: კი არ „აღმოჩნდებოდა ხოლმე“, არამედ ჰყრიდნენ მინას. თქვენ გესმით განსხვავება: ჰყრიდნენ მინას. იყო თუ არა ასეთი შემთხვევები?

ზელენსკი: იყო შემთხვევები, როცა ერბოში მინას ჰყრიდნენ.

ვიშინსკი: იყო თუ არა შემთხვევები, როცა თქვენი თანამონაწილენი, თანამზრახველნი დანაშაულებრივი შეთქმულობისა საბჭოთა ხელისუფლებისა და საბჭოთა ხალხის წინააღმდეგ ლურსმნებს ჰყრიდნენ ერბოში?

ზელენსკი: იყო შემთხვევები.

ვიშინსკი: აი სწორედ ეს არის მავნებლური, დივერსიული მუშაობის მოწყობა. თქვენ ამაში დამნაშავედ სცნობთ თავს?

ზელენსკი: ვცნობ.

მყიდველთა სისტემატურად მოტყუება ფასში და ზომა-წონაში, საქონელბრუნვის გაყინვა, დიდი გაფლანგვები და მტაცებლობა, ესერების, მენშევიკების, ანარქისტებისა და თეთრგვარდიელების შერჩევა კოოპერატიულ აპარატში საჯანყებო ჯგუფების შექმნის მიზნით—აი ზელენსკის უალრესად დანაშაულებრივი „საქმენი“.

„ცენტროსოიუზის“ საზღვარგარეთული ბიუროს საშუალებით ზელენსკი საზღვარგარეთ გზავნიდა ცილისმწამებლურ ინფორმაციას საბჭოთა კოოპერაციის მუშაობის შესახებ. ზელენსკიმ აჩვენა, რომ მოლაპარაკებას აწარმოებდა ინგლისის კოოპერატიული პარტიის ბელად ალექსანდერთან ამ პარტიის მიერ მემარჯვენეებისათვის მხარის დაჭერის შესახებ იმ შემთხვევაში, თუ ისინი ხელში ჩაიგდებდნენ ძალაუფლებას...

ასეთია პროვოკატორი, მავნებელი, ჯაშუში ზელენსკი, მემარჯვენე - ტროცკისტული ბანდის ერთერთი აქტიური „მოღვაწე“.

ბრალდებულ ზელენსკის დაკითხვის დამთავრების შემდეგ, სასამართლოს დილის სხდომა მთავრდება.

(საკდესი).

5 მარტის დილის სხდომა

ბრალდებულ რაკოვსკის დაკითხვის გაგრძელება*

თავმჯდომარე ულრიხი: ბრალდებულო რაკოვსკი, თქვენ გეძლევათ სიტყვა ჩვენების დასამთავრებლად.

რაკოვსკი: ამ მოღვაწეს, რომელიც დიდ საზოგადოებრივ ორგანიზაციას მეთაურობდა იაპონიაში, მე მეორეჯერ და მესამეჯერაც შევხვდი, ჩვენ შევთანხმდით იმ ცნობების ხასიათზე, რომლებიც მე უნდა გადამეცა იაპონიის დაზვერვისათვის მოსკოვში, აგრეთვე ამ გადაცემის ტექნიკაზე. ჯერ კიდევ ტოკიოში ყოფნის დროს მე ამ საქმეში ჩავაბი წითელი ჯვრის დელეგაციის მდივანი დოქტორი ნაიდი, რომლის შესახებაც მე უკვე ვიცოდი, რომ იგი ეკუთვნოდა არალეგალურ კონტრრევოლუციურ ტერორისტულ ორგანიზაციას. იგი ასრულებდა კავშირურთიერთობის აგენტის როლს ჩემსა და იაპონიის დაზვერვას შორის.

ტოკიოში მე ერთხელ კიდევ შევხვდი მესამე პირს. ჩემთან საუბარი მან იმით დაიწყო, რომ განმიცხადა: „ჩვენ ვიცით, რომ თქვენ ხართ ბატონი ტროცკის უახლოესი მეგობარი და თანამზრახველი. მე თქვენ უნდა გთხოვოთ მისწეროთ მას, რომ ერთერთი მთავრობა უკმაყოფილოა მისი სტატიებით ჩინეთის საკითხზე, აგრეთვე ჩინელ ტროცკისტთა საქციელით. ჩვენ უფლება გვაქვს მოველოდეთ ბატონი ტროცკისაგან მოქმედების სულ სხვა ხაზს. ბატონმა ტროცკიმ თვითონვე უნდა იცოდეს, რომ იგი საჭიროა ერთერთი მთავრობისათვის. წერილმანებში ჩაწვდომა საჭირო არ არის, მაგრამ, ცხადია, რომ ინციდენტის გამოწვევა ჩინეთში სასურველი საბაბი იქნებოდა იმისათვის, რათა შესაძლებელი ყოფილიყო ჩინეთის საქმეებში ჩარევა“. ყოველივე ეს მე მივწერე ტროცკის — ჩემი მოლაპარაკება ტოკიოში, ჩემი საუბარი იურენევთან, ჩემი შეხვედრები და, რა თქმა უნდა, ამ უკანასკნელი წინადადების ამბავიც.

ვიშინსკი: პირადად თქვენ რომელ დაზვერვებთან იყავით დაკავშირებული?

რაკოვსკი: ინგლისისა და იაპონიის დაზვერვებთან.

ვიშინსკი: კრესტინსკი? ბრალდებულო კრესტინსკი, თქვენ რომელ დაზვერვასთან იყავით დაკავშირებული?

კრესტინსკი: გერმანიის დაზვერვასთან.

რაკოვსკი: როდესაც ტოკიოდან დავბრუნდი, მე ჯიბეში მქონდა იაპონიის ჯაშუშის მანდატი. 1935 წლის განმავლობაში და 1936 წლის პირველ ნახევარში, ესე იგი, კამენევისა და ზინოვიევის პროცესამდე, მე ნაიდის მეშვეობით იაპონიის დაზვერვას გადავეცი ხუთი ცნობა. მე გადავეცი ცნობები იმის შესახებ, თუ რა გავლენა მოახდინა საბარათო სისტემის გაუქმებამ ხელფასის დონეზე, თუ რა მდგომარეობაში არიან კოლმეურნეობანი, როგორ სრულდება სამრეწველო-საფინანსო გეგმა. ცნობების შედგენა და დასკვნების გამოყვანა შეგნებულად ხდებოდა ძალიან პესიმისტურად, შავი ფერადებით. მე ამას იმისათვის ჩავდიოდი, რომ მადა გამეღიზიანებინა აგრესორებისათვის.

1935 წლის დამდეგს მე ტროცკისაგან მივიღე მეორე წერილი. იგი უბრუნდებოდა თავის თემას, რომელიც პირველ წერილში იყო მოყვანილი, და იძლეოდა დირექტივებს, რომ საჭიროა მოვახდინოთ სტალინის იზოლაცია, საბჭოთა კავშირის იზოლაცია საერთაშორისო ურთიერთობაში.

და აი კიდეც მომეცა შემთხვევა, როდესაც მე შემეძლო შემესრულებინა ტროცკის ეს დირექტივა. ეს იყო საფრანგეთის პრემიერის ლავალის ჩამოსვლის დროს. იმ ჟურნალისტთა შორის, რომლებიც საფრანგეთიდან ლავალთან ერთად ჩამოვიდნენ, იყო ჩემი ახლობელი ამხანაგი საფრანგეთიდან ემილ ბიურე, რომელიც მემარჯვენე რესპუბლიკელთა ბანაკში გადავიდა და გახდა საფრანგეთის ერთერთი უდიდესი და უალრესად ავტორიტეტული გაზეთის — „ორდრის“ დირექტორი. მე წავედი მასთან სასტუმრო „მეტროპოლში“, ჩემს ამოცანას შეადგენდა დამერწმუნებინა იგი, რომ საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის დაახლოება საშიშია, რომ ამან შეიძლება გამოიწვიოს ახალი პრევენტული ომი გერმანიის მხრივ. მე მას განვუცხადე, რომ ეს მარტო ჩემი აზრი როდი არის მეთქი, მე ხომ ვიცოდი მთელი ოპოზიციის სულისკვეთება, მისი პორაჟენცული განწყობილებანი.

ვიშინსკი: თქვენ რომელ ოპოზიციაზე ლაპარაკობთ?

რაკოვსკი: მე ვლაპარაკობ მემარჯვენეებზედაც და ტროცკისტებზედაც.

ვიშინსკი: ეს რა ოპოზიციაა? ეს კონტრრევოლუციონერთა ბანდიტური ჯგუფია!

რაკოვსკი: ბიურემ მიპასუხა: საფრანგეთი არ შეიძლება დარჩეს იზოლირებული გერმანიის მზარდი მილიტარიზაციის წინაშე. აგრესორს უნდა ჩავაცვათ დასამშვიდებელი პერანგი, ეს არის ომის თავიდან აცილების ერთადერთი საშუალება. ეს პასუხი მე ვაცნობე ტროცკის.

ახლა მე ვუბრუნდები ჩემს მოღალატურ საქმიანობას გადასახლებამდე და დავიწყებ იმის ჩვენებით, თუ როგორ გავხდი „ინტელიჯენს-სერვისის“ აგენტი.

ეს იყო 1924 წლის დამლევს. მაკდონალდის მთავრობის დაცემის შემდეგ ჩემთან სრულუფლებიან წარმომადგენლობაში, ლონდონში გამოცხადდა ორი ინგლისელი — არმსტრონგი და ლეკერტი, რომლებსაც პირადად ვიცნობდი, ლეკერტი და არმსტრონგი შეადგენდნენ ინგლისის ცნობილი მსხვილი კაპიტალისტის ლორდ ინვერფორსის, ლოიდ ჯორჯის კაბინეტის ყოფილი მინისტრის გარემოცვის ნაწილს. არმსტრონგმა მითხრა: „თქვენდამი დიდი სიმპატიით ვართ გამსჭვალული და გვინდა გაგაფრთხილოთ იმ საშიშროების წინააღმდეგ, რომელიც თქვენ გემუქრებათ“. და ჯიბიდან ამოიღო ქაღალდი, რომელიც წამიყენა. ეს იყო წერილი, დაბეჭდილი მანქანაზე და ხელმოწერილი ჩემი ყალბი ხელმოწერით.

ვიშინსკი: ვისთვის იყო დანიშნული ეს წერილი?

რაკოვსკი: ეს წერილი დაწერილი იყო გერმანიაში, ადრესატი კი არ იყო აღნიშნული.

ვიშინსკი: გერმანელი დაზვერვისათვის?

რაკოვსკი: შესაძლოა.

ვიშინსკი: რა იყო ამ წერილში ნათქვამი?

რაკოვსკი: ამ წერილში ნათქვამი იყო დაახლოებით შემდეგი: „გიგზავნით რუმინეთის იმ ფირმებისა და გაზეთების აქ დართულ სიას, რომლებიც უნდა მიიზიდოთ გერმანიის მხარეზე იმისათვის, რომ თვით რუმინეთი ჩაბმულ იქნას ომში იმავე გერმანიის მხარეზე“.

ვიშინსკი: რას ნიშნავს წერილის ასეთი შინაარსი?

რაკოვსკი: წერილის შინაარსი ნიშნავს, რომ მე კავშირი მქონდა გერმანულ დაზვერვასთან, გერმანიის მთავრობასთან ან გერმანიის რომელიმე ორგანიზაციასთან.

ვიშინსკი: და თქვენ ეხმარებოდით გერმანიას გადაებირებინა რუმინეთის ტერიტორიაზე რუმინელი მოქალაქენი გერმანიისათვის ხელის შესაწყობად?

რაკოვსკი: მართალია.

ვიშინსკი: რას აკეთებდით თქვენ რუმინეთში, ოფიციალურად? რა საარსებო წყაროები გქონდათ?

რაკოვსკი: მე ვიყავი შეძლებული კაცის შვილი. მამაჩემი მემამულე იყო.

ვიშინსკი: მე გეკითხებით — რა იყო თქვენი არსებობის სახსრები?

რაკოვსკი: ჩემი არსებობის სახსრებს წარმოადგენდა შემოსავალი მამის ქონებიდან.

ვიშინსკი: მაშასადამე, თქვენ ცხოვრობდით შემოსავლით, როგორც რანტიე?

რაკოვსკი: როგორც სოფლის მეურნე.

ვიშინსკი: ესე იგი, როგორც მემამულე?

რაკოვსკი: დიახ.

ვიშინსკი: მე მინდა პირდაპირ დაგიყენოთ კითხვა: მე ძალიან დიდი ეჭვი მეპარება იმაში, რომ წერილს, რომელიც თქვენ არმსტრონგმა გიჩვენათ, გერმანიის დაზვერვის სახელზე მიმართულ წერილს, ჰქონდა ხელმოწერა არა თქვენი ყალბი სახელით, არამედ თქვენ ნამდვილად აწერდით ხელს, იმიტომ, რომ მაშინ თქვენ უკვე ითვლებოდით გერმანიის დაზვერვაში.

გადავიდეთ შემდეგზე, თქვენს თანამშრომლობაზე ინგლისის დაზვერვასთან. განაგრძეთ.

რაკოვსკი: როდესაც არმსტრონგმა და ლეკერტმა ეს დოკუმენტი მიჩვენეს, მე ვუთხარი: „ეს ხომ უალრესად უხეში ნაყალბევია მეთქი“. დოკუმენტი დათარიღებული იყო ბერნში 15 ოქტომბერს, ხოლო მაშინ მე რუმინეთში ვიყავი და არა ბერნში. მაშინ მათ მითხრეს: „თქვენ ადასტურებთ, რომ ყალბია ზინოვიევის წერილიც, მაგრამ აი შედეგი: მაკდონალდის მთავრობის დაცემა და იმ ხელშეკრულების მოსალოდნელი გაუქმება, რომელსაც თქვენ ხელი მოაწერეთ ინგლისის მთავრობასთან. თქვენს შესახებ ჩვენ ლაპარაკი გვქონდა ბატონ ისტმენთან (ისტმენი — ამერიკელი ტროცკისტია) და მისგან შევიტყვეთ, რომ თქვენ ეკუთვნით მისტერ ტროცკის მიმდინარეობას, რომ თქვენ ახლოს დგეხართ მასთან, და მხოლოდ ამ გარემოების გამო არ წასულა „ინტელიჯენს - სერვისი“ იმის წინააღმდეგ, რომ ჩვენს მთავრობას მიეცა აგრემანი*) იმის შესახებ, რათა თქვენ დაინიშნეთ სრულუფლებიან წარმომადგენლად ამ ქვეყანაში“. ეს განცხადება სცვლიდა მთელს სიტუაციას.

მე ჩამოვედი მოსკოვს და ეს ამბავი ვაცნობე ტროცკის. ტროცკი ამბობდა, რომ ყალბი წერილი ლაპარაკის დაწყების საბაბი იყო.

ტროცკი დასთანხმდა იმაზე, რომ გამება კავშირი ინგლისის დაზვერვასთან, ასე ვთქვათ, დამლოცა ამ საქმისათვის, ამასთან შენიშნა, რომ საჭიროა ვიყო რაც შეიძლება ფრთხილად, რომ საჭიროა კიდევ გამოირკვეს, თუ რისი მოცემა შეუძლიათ მათ ტროცკიზმისათვის. ლონდონში დაბრუნებისას, მე მალე მიმიწვიეს ერთერთ ოფიციალურ პირთან, რომელმაც დამიდასტურა, რომ „ინტელიჯენს-სერვისის“ მიერ მოცემული წინადადება ნამდვილად სანქციონირებულია. თავის მხრივ არმსტრონგმა და ლეკერტმა განაცხადეს, რომ კავშირურთიერთობის აგენტად ჩემსა და მათ შორის იქნება ჟურნალისტი ფარბმანი. ამ საქმეზე კავშირურთიერთობის აგენტებად მე გადავიბირე სრულუფლებიანი წარმომადგენლობის კიდევ ორი თანამშრომელი. ეს მოხდა უკვე 1925 წლის დამდეგს. ლონდონიდან გამგზავრების წინ მე მოვასწარი გადამეცა დოკუმენტი — საბჭოთა პოლიტიკის შეფასება შუა აზიის ნაციონალურ რესპუბლიკებში იმ ადამიანის თვალსაზრისით, რომელსაც სურს მტრული ურთიერთობა იქონიოს სსრ კავშირთან. იმავე 1925 წლის ოქტომბერში მე სრულუფლებიან წარმომადგენლად გადამიყვანეს პარიზში. ამ მდგომარეობაში ჩემთვის ძნელი იყო უშუალო კავშირის დაჭერა „ინტელიჯენს-სერვისთან“. და როდესაც ჩემთან კვლავ გამოცხადდა ფარბმანი, ჩვენ ერთად ვითათბირეთ და გადავწყვიტეთ „ინტელიჯენს-სერვისის“ უშუალო მომსახურება მიგვენდო მდივანისათვის. შემდეგ მე შევწყვიტე კავშირი „ინტელიჯენს-სერვისთან“. 1934 წლის ზაფხულში მას შემდეგ, როდესაც მე გადასახლებიდან დავბრუნდი, ჩემი კავშირურთიერთობა განახლდა.

ვიშინსკი: გვითხარით, თუ რა იცით „ინტელიჯენს - სერვისთან“ ტროცკის კავშირურთიერთობის შესახებ?

რაკოვსკი: ეს იყო ალმა-ატაში ტროცკის გადასახლების წინ. თავდაპირველად იგი უნდა გაეგზავნათ ასტრახანში, მაგრამ იგი ცდილობდა ამ ადგილის გამოცვლას და მიიღო ალმა-ატა. როდესაც მის ბინაში მივედი გრანოვსკის ქუჩაზე, მე იგი ძალიან კმაყოფილი დამხვდა იმით, რომ ასტრახანი ალმა-ატაზე შეუცვალეს. მე გამიკვირდა. ალმა-ატამდე ფრუნზედან მგზავრობას რამდენიმე დღე სჭირდებოდა (მაშინ იქ ჯერ კიდევ არ იყო რკინიგზა). მან მიპასუხა: „სამაგიეროდ ახლო ვარ ჩინეთის საზღვართან“, და მიმითითა რუკების შეკვრაზე. მან მაგრძნობინა, რომ ჰფიქრობს გაქცევას. მე ვკითხე, რანაირად შეიძლება გაქცევის მოწყობა დასავლეთ ჩინეთით, ქვიშიანი უდაბნოებით, მთებში, უსახსრობოდ. „მე დამეხმარება „ინტელიჯენს-სერვისი“, — სთქვა ტროცკიმ. და იქვე ძალიან კონფიდენციალურად გადმომცა, რომ 1926 წლიდან მან დანაშაულებრივი კავშირი გაება „ინტელიჯენს-სერვისთან“.

ვიშინსკი: ვისი საშუალებით?

რაკოვსკი: „ლენა-გოლდფილსის“ კონცესიის ერთერთი წარმომადგენლის საშუალებით.

ვიშინსკი: მაშასადამე, მაშინ, როდესაც იგი მთავარ საკონცესიო კომიტეტის თავმჯდომარე იყო, მან გაება კავშირი „ინტელიჯენს-სერვისთან“ „ლენა-გოლდფილსის“ ფირმის წარმომადგენლის საშუალებით?

რაკოვსკი: სავსებით სწორია. მან კიდევ გადმომცა მეორე ფაქტი: მან უკვე მოასწრო ერთგვარი სამსახურის გაწევა ინგლისის „ინტელიჯენს-სერვისისათვის“, ეს ეკუთვნის 1927 წლის დამდეგს. მისი სიტყვით, იგი ამ ორგანიზაციის მიერ გაწეული ზოგიერთი სამსახურის სამაგიეროდ, თავის მხრივ დაეხმარა კონსერვატორებს სსრ კავშირთან ურთიერთობის გაწყვეტაში, რომ მან „ინტელიჯენს-სერვისს“ მიუთითა, როგორც ხელსაყრელ ინციდენტზე არკოსზე თავდასხმის მოწყობის შესაძლებლობაზე. ამასთან მან დაასახელა ზოგიერთი ლონდონელი ტროცკისტები, რომლებიც იქ მუშაობდნენ, მათ შორის მიულერი თუ მილერი, რომელთა საშუალებითაც უზრუნველყოფილია სპეციალურად შედგენილი დოკუმენტის არსებობა არკოსის შენობაში და, რომ მან ამგვარად ჯონსონ ჰიკს (მაშინდელ შინაგან საქმეთა მინისტრს) მისცა საბაბი, რათა დაერწმუნებინა თავისი კოლეგები, რომ საჭიროა დიპლომატიური ურთიერთობის გაწყვეტა სსრ კავშირსა და ინგლისს შორის.

მე მინდა კიდევ ვთქვა იმ მოლაპარაკებათა შესახებ, რომლის წარმოებაც ტროცკიმ დამავალა 1927 წლის ზაფხულზე საფრანგეთში. მე შევხვდი როიაში დეპუტატ ნიკოლს. ნიკოლი ხელის სართავ საწარმოთა მეტად მსხვილი მეპატრონეა ჩრდილოეთში, ფაბრიკის მეპატრონეა და მემარჯვენე რესპუბლიკურ წრეებს ეკუთვნის. მე მაშინ მას ვკითხე იმ შესაძლებლობათა და პერსპექტივების შესახებ, რომლებიც არსებობენ ოპოზიციისათვის, შესაძლებელია თუ არა დასაყრდენი ვპოვოთ საფრანგეთის კაპიტალისტურ წრეებს შორის, რომლებიც აგრესიულად არიან განწყობილი სსრ კავშირის წინააღმდეგ. მან მიპასუხა: „რასაკვირველია, და უფრო მეტადაც, ვიდრე თქვენ ამას, შესაძლებელია, მოელით“. მაგრამ, როგორც მან სთქვა, ეს, უმთავრესად, ორ გარემოებაზე იქნება დამოკიდებული. პირველი გარემოება ის არის, რომ ოპოზიცია ნამდვილი რეალური ძალა გახდეს, მეორე გარემოება კი ის არის, თუ რა დათმობებზე წავა ის საფრანგეთის კაპიტალისათვის კონცესიების გაცემის საკითხში.

ახლა ჩემი კონტრრევოლუციური კავშირის შესახებ. ჩამოვედი რა 1934 წელს გადასახლებიდან, მე შევხვდი სოსნოვსკის და მასთან მქონდა კავშირი. 1935 წლის მარტში სოსნოვსკიმ შემატყობინა იმის შესახებ, რომ უკვე დიდიხანია შეკრულია ბლოკი მემარჯვენეთა და ტროცკისტებს შორის, რომ არის სრული თანხმობა მიზნებსა და მეთოდებში — ჯაშუშობა, დივერსია და მავნებლობა. მეორე არალეგალური მომუშავე, რომელსაც მე 1934 წელს შევხვდი, იყო კრესტინსკი. მე მასთან სახალხო კომისარიატში ორჯერ ვიყავი ტოკიოში ჩემი გამგზავრების თაობაზე. მეორე ნახვის დროს მან მითხრა, რომ მუშაობს როგორც არალეგალური მომუშავე.

ვიშინსკი: როგორც ტროცკისტი?

რაკოვსკი: როგორც ტროცკისტი.

ვიშინსკი: გვიამბეთ, თუ როგორ შეგიძლიათ მოკლედ ჩამოაყალიბოთ საბჭოთა კავშირის წინაშე თქვენი დანაშაულების აღიარება?

რაკოვსკი: მე ვაღიარებ, რომ დაწყებული 1924 წლის ბოლოდან, საბჭოთა სოციალისტური სამშობლოს მოღალატე ვიყავი.

ვიშინსკი: თქვენ, ტროცკისტები, რისთვის აწარმოებდით ამ ბრძოლას საბჭოთა სახელმწიფოს წინააღმდეგ?

რაკოვსკი: ძალაუფლების ხელში ჩაგდებისათვის.

ვიშინსკი: თქვენ გინდოდათ ძალაუფლების ხელში ჩაგდება ფაშისტების დახმარებით?

რაკოვსკი: ფაშისტების დახმარებით. ბოლოსდაბოლოს ძალაუფლებას ხელში ჩაიგდებდნენ ფაშისტური აგრესორები.

ვიშინსკი: და თქვენ პირადად მოქმედებდით ამ ფაშიზმის მიზნებისა და ინტერესებისათვის?

რაკოვსკი: ვაღიარებ.

ვიშინსკი: ჯაშუშური მეთოდებით მოქმედებდით?

რაკოვსკი: ვაღიარებ.

ვიშინსკი: ამზადებდით სსრკ დამარცხებას მომავალ ომში სსრ კავშირზე თავდასხმის შემთხვევაში?

რაკოვსკი: ვაღიარებ.

ვიშინსკი: სსრ კავშირის ძლიერებისა და თავდაცვისუნარიანობის დასუსტებას ამზადებდით მავნებლობის, დივერსიისა და ტერორის მეთოდებით?

რაკოვსკი: ვაღიარებ.

ვიშინსკი: ეს არის ღალატი არა მარტო საბჭოთა სახელმწიფოს. არამედ მთელი საერთაშორისო მუშათა მოძრაობის წინაშე? ამაში თქვენ დამნაშავედ აღიარებთ თავს?

რაკოვსკი: ვაღიარებ.

ვიშინსკი: მეტი შეკითხვები არა მაქვს.

(დასასრული იხ. მე-4 გვ.)

---

*) შემოკლებული სტენოგრამა.

*) აგრემანი—თანხმობა ელჩის მიღებაზე.

ანტისაბჭოთა „მემარჯვენე-ტროცკისტული ბლოკის“ პროცესი

ბრალდებულ ზელენსკის დაკითხვა*

თავმჯდომარე ულრიხი: ბრალდებულო ზელენსკი, ადასტურებთ თუ არა თქვენ იმ ჩვენებებს, რომლებსაც წინასწარ გამოძიებაზე იძლეოდით?

ზელენსკი: დიახ, ვადასტურებ. პირველ რიგში უნდა შევეხო ჩემთვის ყველაზე მძიმე დანაშაულს—ესაა ჩემი მუშაობა მეფის ოხრანკაში. მე 1911-დან 1913 წლამდე სამარის ოხრანკის აგენტი ვიყავი.

1911 წლის ზაფხულს მე გამჩხრიკეს. მიპოვეს ზოგიერთი დოკუმენტი, რომლებიც აშკარავებდნენ, რომ მე სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციას ვეკუთვნოდი. მიმიყვანეს ჟანდარმთა სამმართველოში, დამკითხა პოლკოვნიკმა ბეტიპაჟმა, რომელმაც შემდეგი განმიცხადა: ან საკატორღო პროცესს შეგიქმნით, ან არა და ოხრანკის განყოფილების ინფორმატორი უნდა გახდეო. მე სულმდაბლობა გამოვიჩინე და დავთანხმდი ინფორმატორი გავმხდარიყავი.

გადაბირებისას მე მიწოდეს მეტსახელი „ოჩკასტი“. წინადადება მომცეს ინფორმაცია მეძლია მათთვის ადგილობრივი სოციალ-დემოკრატიული ბოლშევიკური ჯგუფის შესახებ, ლიკვიდატორებთან მისი ბრძოლის შესახებ, შემდეგში რეგულარულად ვღებულობდი ფულს ამ გამცემლური მუშაობისათვის — 25, 40, 50 და 100 მანეთსაც კი. ასე გრძელდებოდა 1912 წლის თებერვლამდე.

მე ვაწვდიდი ცნობებს იმ მუშაობაზე, რომლებსაც ბოლშევიკები ეწეოდნენ ურთიერთდამხმარე საზოგადოებებში, მბეჭდავთა კლუბში, იმ მუშაობაზე, რომელსაც ბოლშევიკები ეწეოდნენ მომხმარებელთა საზოგადოებაში. მე გავეცი მთელი რიგი ადამიანები, რომლებიც დაპატიმრებულ იქნენ. ინფორმაციის მიწოდების გარდა, ჟანდარმები პროვოკატორულ მუშაობასაც მაკისრებდნენ. დამავალეს მომეწყო სტამბა. დამავალეს მომეწყო საქვითარო წიგნაკებით საწევრო შესატანთა შეგროვება იმ ანგარიშით, რომ იქ ყოფილიყო ბეჭდები, ე. ი. დამავალეს მომემზადებინა ისეთი ფაქტიური მასალა, რომელიც ორგანიზაციის დაპატიმრებისას საფუძვლად დაედებოდა იმას, რომ შეექმნათ სასამართლო პროცესი მე-102 მუხლის მიხედვით და კატორღაში გაეგზავნათ ადამიანები.

1912 წლის თებერვალს მე დამაპატიმრეს სხვა პირებთან ერთად, რომლებიც მე გავეცი: ბუიანოვი, ბლაგოდაროვა, ლევინი, ვულფსონი, კუჩმენკო. როცა დამაპატიმრეს და სამარის საპყრობილეში ჩამსვეს, მე ბეტიპაჟს მივმართე განცხადებით, რომ დაკითხვაზე დავებარებინე, რადგან მსურდა გამეგო ჩემი დაპატიმრების მოტივები. ბეტიპაჟმა დამიბარა და განმიცხადა, ეს თქვენ დასაცავად ვქენით—„თქვენთვისვე სჯობია, რომ დაგაპატიმრეთო“. საპყრობილეში მე დავყავი 6 თვეს, რის შემდეგ გადამასახლეს ნარიმის მხარეში. გაგზავნის წინ ჩემთან საპყრობილეში გამოცხადდა ჟანდარმთა იგივე ოფიცერი, რომელთანაც მე შეხვედრები მქონდა კონსპირატიულ ბინაზე, და მომთხოვა, რომ გადასახლებიდან ინფორმაცია მიმეწოდებინა გადასახლებულთა სულისკვეთების შესახებ.

ამრიგად, ნარიმს გადასახლებული რომ ჩავედი, მე უკვე მუშათა მოძრაობის გამყიდველი ვიყავი.

რამდენადაც მე ვუმალავდი ჩემს დანაშაულობას პარტიულ ორგანიზაციებსა და პარტიულ ადამიანებს, მე ვსარგებლობდი მათი ნდობით, როგორც პარტიის წევრი.

ვიშინსკი: გადასახლებიდან ჰგზავნიდით წერილებს ავერბუხის სახელზე. ვინ იყო ავერბუხი?

ზელენსკი: სტამბის მეპატრონე.

ვიშინსკი: და იმავე დროს ოხრანკის აგენტი.

ზელენსკი: დიახ, ალბათ.

ვიშინსკი: ვთხოვ სასამართლოს დარწმუნდეს, რომ იმავე მე-51 ტომის, მე-24 ფურცელი შეიცავს 1937 წლის დეკემბერში დაპატიმრებულ ლეიბ მოსეს-ძე ავერბუხის დაკითხვის ოქმს. ეს ის არის?

ზელენსკი: ვფიქრობ, რომ ეს სწორედ ის არის.

ვიშინსკი: და აი ავერბუხი აჩვენებს—„გარდა ამისა, ჩემს მისამართს იყენებდნენ სამარის ჟანდარმთა სამმართველო, ჟანდარმთა განყოფილების აგენტები, რომლებიც გადასახლებაშიც იყვნენ. მახსოვს, ჩემი საშუალებით მიდიოდა ცნობები ვინმე ისაკ აბრამის-ძისა, რომელიც გადასახლებაში იყო“. ეს თქვენა ხართ?

ზელენსკი: ვფიქრობ, რომ ასეა.

ვიშინსკი: ერთი გვითხარით, იყო თუ არა ისეთი შემთხვევა, რომ ბრალდებულმა იაგოდამ 1924 წელს გინახულათ თქვენ და გადმოგცათ აი ეს ფოტოგრაფიული და დაქტილოსკოპიური მასალა ჟანდარმთა სამმართველოდან.

ზელენსკი: დიახ.

ვიშინსკი: ბრალდებულო იაგოდა, თქვენ ადასტურებთ ამ ფაქტს?

იაგოდა: დიახ. ეს მისი ძმის საქმე იყო. მისი ძმა დააპატიმრეს, ზელენსკი ძალიან ჰღელავდა. ძმა პროვოკატორი იყო და დახვრიტეს 1924 წელს.

ვიშინსკი: თქვენ კი გადაეცით ეს მასალა ზელენსკის? რატომ?

იაგოდა: ის მაშინ პარტიის მოსკოვის კომიტეტის მდივანი იყო. ის არ მოვიდა, მაგრამ დამირეკა, რომ მე მივსულიყავი.

ზელენსკი: მან მომიტანა ჩემი ძმის საქმე და სამარის პირადად ჩემი საქმეები.

ვიშინსკი: აი ეს საქმეები?

ზელენსკი: დიახ. ახლა საკითხი ჩემი მავნებლური მუშაობის შესახებ. მე მემარჯვენეთა ორგანიზაციას მივემხრე 1928 წლის დამლევს, თუ 1929 წლის დამდეგს. მივემხრე იმ მოტივებით, რომლებიც აღნიშნულია საბრალდებო დასკვნაში,—ჩემი დანაშაულებრივი საქმიანობის გამომჟღავნების შიშით.

ვიშინსკი: რა დანაშაულებრივი საქმიანობის?

ზელენსკი: პროვოკატორულისა. მე გადამიბირა ა. პ. სმირნოვმა. ტაშკენტიდან რომ ჩამოვდიოდი, მე მონაწილეობას ვიღებდი მემარჯვენეთა მთელ რიგ კრებებში, რომლებიც იმართებოდა სმირნოვთან 1929—1930 წლის განმავლობაში. კრებებზე სასტიკად აკრიტიკებდნენ პარტიის ხაზს და იმუშავებდნენ პარტიის ცენტრალური კომიტეტის წინააღმდეგ ბრძოლის ხაზს.

1929—1930 წელს სმირნოვმა მომცა მთელი რიგი მითითებანი კოლექტივიზაციის ჩაშლის შესახებ შუა აზიაში.

ეს მითითებანი მდგომარეობენ შემდეგში: აუცილებელია ყოველნაირად შევინარჩუნოთ, როგორც სმირნოვი ამბობდა, მძლავრი მეურნეობა, ჰგულისხმობდა რა ასეთად კულაკურ მეურნეობებს; აუცილებელია ყოველნაირად შევაფერხოთ საკოლმეურნეო მოძრაობის განვითარება, შევაფერხოთ და ჩავშალოთ საკოლმეურნეო მშენებლობა. იგი მიუთითებდა, რომ აუცილებელია დახმარება გაეწიოს მემარჯვენე ნაციონალისტურ ორგანიზაციას მის ბრძოლაში პარტიის წინააღმდეგ. ტაშკენტში მე წამოვაყენე ლოზუნგი „დავეწიოთ და გავუსწროთ ჩვენს კავშირში კოლექტივიზაციის მხრივ მოწინავე რაიონებს“. ამ დირექტივის საფუძველზე ადგილობრივმა ორგანიზაციებმა შეიმუშავეს კოლექტივიზაციის სწრაფი ტემპების გეგმა და შეუდგნენ კოლმეურნეობათა ორგანიზაციას და ამავე დროს იყენებდნენ ადმინისტრატიულ მეთოდებს. საკოლმეურნეო მშენებლობის ჩაშლის ამ ხერხს ხელი ჩასჭიდეს ნაციონალ-შოვინისტურმა ორგანიზაციებმა, რომლებმაც ჩაიდინეს მთელი რიგი გადახრები. როდესაც უკმაყოფილება მნიშვნელოვნად გაიზარდა და ცენტრალური კომიტეტის წინაშე აღარ შეიძლებოდა კოლექტივიზაციის დროს დაშვებული ამ უხეში შეცდომების დამალვა, მე მივეცი მითითება იმის შესახებ, რომ შეცდომების გასწორების ნაცვლად, ისე წაეყვანათ საქმე, რომ ხალხი გამოსულიყო კოლმეურნეობებიდან—ხელი არ შეგვეშალა ამისათვის. ამ თითქოს ლეგალური ფორმულით გზა ეხსნებოდა კულაკურ აგიტაციას და კულაკურ აქტივობას კოლმეურნეობათა დაშლის მიმართულებით.

შუა აზიიდან ჩემი მოხსნისა და მოსკოვში ჩამოსვლის შემდეგ მე განვაგრძობდი ურთიერთობას სმირნოვთან, როგორც მემარჯვენეთა ცენტრის წარმომადგენელთან. მას შემდეგ, რაც სმირნოვი გამომჟღავნებულ იქნა, როგორც მემარჯვენე, მე კავშირი დავამყარე ანტიპოვთან. მისგან მივიღე მითითებანი მავნებლური მუშაობის აქტივიზაციის შესახებ კოოპერაციასა და „ცენტროსოიუზში“. მავნებლური მუშაობის მიზანი, რომელსაც ისახავდა მემარჯვენეთა ორგანიზაცია ვაჭრობაში, შემდეგში მდგომარეობდა: ანტიპოვი და ყველა მემარჯვენენი განსაკუთრებულ მნიშვნელობას აძლევდნენ მეურნეობის დეზორგანიზაციას იმ დარგებში, რომლებიც ყველაზე უფრო ახლო სდგას მოსახლეობასთან: საბინაო საქმე, კოოპერაცია, ვაჭრობა, რათა გამოეწვიათ მოსახლეობის უკმაყოფილება ცუდი მუშაობით მომარაგების საქმეში და ამით გამოეწვიათ უკმაყოფილება მთავრობის წინააღმდეგ, ე. ი. აშკარა პროვოკაციული მიზნით. მავნებლური მუშაობის შინაარსი შემდეგში მდგომარეობდა. მემარჯვენეებმა მოაწყვეს შეწყვეტა ყოველდღიური მოთხოვნილების საქონლის ვაჭრობაში. ასე, მაგალითად, ასეთი შეწყვეტა მოაწყვეს კურსკის ოლქში 1936 წლის პირველ კვარტალში შაქრის ვაჭრობაში, მრავალ დუქანში მთელი ერთი-ორი კვირის განმავლობაში არ მოიპოვებოდა შაქარი. ასეთივე მავნებლური შეწყვეტები მოაწყვეს ლენინგრადის ოლქში წეკოს ვაჭრობაში. ასეთივე შეწყვეტა იყო 1936 წლის ზაფხულში გამომცხვარი პურის ვაჭრობაში ბელორუსიის მთელ რიგ სასოფლო ადგილებში, რომლებიც მდებარეობენ მოსაზღვრე რაიონებში.

ერთგვარი წარმოდგენა რომ მოგცეთ იმის შესახებ, თუ რა ხასიათისა იყო ეს შეფერხებანი, მე აღვნიშნავ შემდეგს: იმ 30 ათას დუქნიდან, რომლებიც გამოიკვლიეს საბჭოების სავაჭრო-კოოპერატიულმა სექციებმა და სავაჭრო ინსპექციამ 1936 წლის პირველ კვარტალში, მარილი არ იყო 3.700 დუქანში. 42 ათასი დუქნიდან 2 ათას დუქანში არ იყიდებოდა შაქარი. 1936 წლის მე-3 კვარტალში 36 ათას დუქნიდან წეკო არ იყიდებოდა 1.600 დუქანში. ასე რომ, ეს არა ცალკეული, არამედ საკმაოდ გავრცელებული მოვლენები იყო.

ვიშინსკი: ხოლო როგორ იყო საქმე კარაქის მხრივ თქვენი დანაშაულებრივი საქმიანობის წყალობით?

ზელენსკი: კარაქით ჩვენ სოფლად არ ვვაჭრობთ.

ვიშინსკი: მე არ გეკითხებით, თუ რას ვაჭრობთ თქვენ. თქვენ უწინარეს ყოვლისა ვაჭრობდით ძირითადად — სამშობლოთი. მე გეკითხებით, რა ზომებს იღებდა თქვენი ორგანიზაცია, იმისათვის, რომ ჩაეშალა საქონელბრუნვა და მოსახლეობისათვის არ მიეწოდებინა მოხმარების უაღრესად საჭირო პირველი საგნები? გარდა შაქრისა და მარილისა, ცნობილია თუ არა თქვენთვის რაიმე კარაქის შესახებ?

აი თქვენ წინასწარ გამოძიებაზე ილაპარაკეთ, რომ მუშაობის ძირგამომთხრელი ხასიათი შემდეგითაც გამოიხატებოდა: რძისგან ნაკეთები კარაქის ხარისხიანობის გამოსარკვევად დაწესებული სკალა იმას იწვევდა, რომ მხოლოდ უმაღლესი ხარისხის კარაქს ღებულობდით, იაფი კარაქი კი ბაზარზე არ გამოჰქონდათ. ფაქტია თუ არა ეს?

ზელენსკი: ფაქტია.

ვიშინსკი: შემდეგ ეს გავლენას ახდენდა მომხმარებლის ბიუჯეტზე. და ეს მოსახლეობის მხრივ კმაყოფილებას იწვევდა თუ უკმაყოფილებას?

ზელენსკი: უკმაყოფილებას.

ვიშინსკი: თქვენ ამას ესწრაფვოდით?

ზელენსკი: ვესწრაფვოდით.

ვიშინსკი: იყო თუ არა შემთხვევები, როცა თქვენი ორგანიზაციის წევრები, რომელთაც კარაქის საქმესთან დამოკიდებულება ჰქონდათ, კარაქში მინას ჰყრიდნენ?

ზელენსკი. იყო შემთხვევები, როცა კარაქში მინას ჰყრიდნენ.

ვიშინსკი: იყო თუ არა შემთხვევები, როცა თქვენი თანამონაწილეები, საბჭოთა ხელისუფლებისა და საბჭოთა ხალხის წინააღმდეგ დანაშაულებრივი შეთქმულების თანამზრახველები კარაქში ლურსმანს ჰყრიდნენ?

ზელენსკი: იყო შემთხვევები.

ვიშინსკი: აი სწორედ ეს არის მავნებლური დივერსიული მუშაობის მოწყობა. სცნობთ თუ არა ამაში თავს დამნაშავედ?

ზელენსკი: ვცნობ.

ვიშინსკი: პასუხს აგებთ თუ არა ბლოკის მთელი დანაშაულებრივი საქმიანობისათვის?

ზელენსკი: პასუხს ვაგებ.

ვიშინსკი: კარაქში ჩაყრილი ლურსმნებისათვის, მინისათვის, რომლებიც ჩვენს ხალხს ყელსა და კუჭს უჭრიდნენ?

ზელენსკი: პასუხს ვაგებ.

ვიშინსკი: ახლა კვერცხების შესახებ. ეს საკითხი აგრეთვე აინტერესებს მოსახლეობას. მაგალითად, იყო თუ არა ისეთი შემთხვევა ან შემთხვევები, რომ ცდილობდნენ მოსკოვი პერიოდულად უკვერცხოდ დაეტოვებინათ. იყო ასეთი შემთხვევები?

ზელენსკი: დიახ, იყო.

ვიშინსკი: 1936 წელს იყო თუ არა ისეთი შემთხვევა, რომ მოსკოვი დარჩა უკვერცხოდ თქვენი მიზეზით, პერსონალურად თქვენი მიზეზით კი არა, არამედ ამ შეთქმულთა ბლოკის ერთერთი აქტიური მონაწილის მიზეზით?

ზელენსკი: იყო. მე ახლა არ შემიძლია დავასახელო რა თვე იყო, მაგრამ შემიძლია გაცნობოთ შემდეგი ფაქტი. 1936 წელს მავნებლურად იყო გაფუჭებული 50 ვაგონი კვერცხი.

ვიშინსკი: 50 ვაგონი კვერცხი! ეს სად, მოსკოვში?

ზელენსკი: დიახ.

ვიშინსკი: იცოდით თუ არა ეს თქვენ?

ზელენსკი: დიახ, ეს მე ვიცოდი.

ვიშინსკი: როგორც წევრმა...

ზელენსკი: კონტრრევოლუციური ორგანიზაციისამ.

ვიშინსკი: ამ დროს რა თანამდებობა გეკავათ თქვენ?

ზელენსკი: „ცენტროსოიუზის“ თავმჯდომარის თანამდებობა.

ვიშინსკი: ახლა შეგიძლიათ განაგრძოთ.

ზელენსკი: მე ვთვლი, რომ ანგარიშში, ზომასა და წონაში მოტყუება არანაკლებად მავნებლური საქმეა.

ვიშინსკი: რისთვის კეთდება ეს?

ზელენსკი: იმისთვის, რომ გამოვიწვიოთ მოსახლეობის უკმაყოფილება.

ვიშინსკი. ესე იგი, პროვოკაციული მიზნებით?

ზელენსკი. გასაგებია. ამ საქმის მექანიკა იმაში მდგომარეობს, რომ ბითუმად მოვაჭრე ორგანიზაციებში არ არის ფასების ნიხრი. ამრიგად ხშირად რევიზიის მწარმოებელი ორგანიზაციები და თვით მომხმარებლები მოკლებული არიან საშუალებას შეამოწმონ დანიშნული ფასების სისტემა. ფასებს ნიშნავენ სავაჭრო ორგანიზაციები ან დუქნის გამყიდველები ხშირად თავისი შეხედულებით, ესე იგი, უკანტროლოდ. ამრიგად იმ ადამიანის დაჭერა, რომელიც ანგარიშში ატყუებს მომხმარებელს, თითქმის შეუძლებელია. ამ მოვლენამ სერიოზული ხასიათი და დიდი გავრცელება მიიღო. ამ მავნებლობის ოდენობა რომ დავახასიათო, მე აღვნიშნავ, რომ 135.000 დუქნიდან, რომლებიც შემოწმებულ იქნენ სავაჭრო-კოოპერატიული ქსელის ინსპექციის მიერ, ანგარიშში მყიდველთა მოტყუების შემთხვევები აღმოჩენილია 13.000 დუქანში. ფაქტიურად კი მათი რაოდენობა გაცილებით მეტია.

მავნებლობის მეტად მნიშვნელოვანი სახეა აგრეთვე საქონლის ბრუნვის გაყინვა, აგრეთვე მოსახლეობაში უკმაყოფილების გამოწვევის მიზნით, რასაც საქონლის არასწორი და არადროული გაგზავნის საშუალებით ვაღწევთ. ასე, მაგალითად, იყო შემთხვევები, როცა საზაფხულო საქონელი იგზავნებოდა ზამთარში და, პირიქით, საზამთრო საქონელი დუქნებში ზაფხულობით მოდიოდა.

ვიშინსკი: ესე იგი, ზაფხულობით მოსახლეობას აწვდიდით ნაბდის წაღებს, ზამთრობით კი ფლოსტებს?

ზელენსკი: დიახ.

მე მინდა აღვნიშნო კიდევ ერთი მავნებლობა საქონლის შეზიდვასა და გაყიდვაში. 1936 წლის მეოთხე კვარტალში გადადებული იყო საქონელი პურის შესასყიდად. საქონელი გაიგზავნა პურის შესასყიდი პუნქტებში ყველა რაიონში, და აღმოჩნდა, რომ თათართა რესპუბლიკაში, ბაშკირეთში და პურის შესყიდვის სხვა ადგილებში შესყიდვა არ მიდის დამაკმაყოფილებლად. საქონელი კი, რომელიც განკუთვნილი იყო პურის შესყიდვის ფონდისათვის, ჩერდებოდა იქ 4-6 თვის განმავლობაში, და მხოლოდ ამ ხნის შემდეგ დაისვა საკითხი მათი ჯავშნიდან მოხსნის შესახებ. მოსახლეობა ხედავდა საქონელს დუქნებში, მაგრამ მისი ყიდვის საშუალება არ ჰქონდა და ეს, თავის მხრივ, იწვევდა მოსახლეობის მწვავე უკმაყოფილებას.

მე უნდა შევეხო კიდევ ერთს მეტად მსხვილ საკითხს—ეს არის საკითხი გაფლანგვებისა და მტაცებლობისათვის ხელშეწყობისა. მე დავავალე შეემუშავებინათ აღრიცხვის მავნებლური ინსტრუქცია. არსებითი მხარე მავნებლობისა აქ იმაში მდგომარეობდა, რომ მე ნება დავრთე ჯგუფური ჩანაწერების წარმოებისა სავაჭრო ოპერაციებზე, ეგრეთწოდებული ჯგუფური სისტემით, რაც ასუსტებდა კონტროლის შესაძლებლობას. ამას გარდა, ჩემ მიერ მკვეთრად შემოკლდა ბუღალტრული ანგარიშიანობა და შენარჩუნებული იყო საკმარისად მნიშვნელოვანი ოპერატიული ანგარიშიანობა, რაც ასუსტებდა საქვეანგარიშო პირების ყოველგვარი აღრიცხვის შესაძლებლობას. მე შეგნებულად ვაფერხებდი სოფლის მომხმარებელ საზოგადოებათა სარევიზიო კომისიების მუშაობას. გაფლანგვებისა და მტაცებლობის წინააღმდეგ ბრძოლის განხორციელება სარევიზიო კომისიების მუშაობის გარეშე და საზოგადოებრივი კონტროლის ორგანიზაციის გარეშე შეუძლებელია. მე შეგნებულად არ მივიღე ზომები იმისთვის, რომ მომეწყო ეს მუშაობა. უნდა აღვნიშნო აგრეთვე, რომ ჩვენ ვღებულობდით ზომებს მეპაიეთა აღრიცხვის, საპაიო კაპიტალის აღრიცხვის დასარღვევად.

ერთ საკითხს კიდევ უნდა შევეხო, მე მქონდა დავალება და მიზნად ვისახავდი მომენაგვიანებინა ეს აპარატი უცხო, მტრული, ანტისაბჭოთა და საჯაშუშო ელემენტებით. „ცენტროსოიუზის“ აპარატის მონაგვიანება სჩანს იქიდან, რომ „ცენტროსოიუზის“ აპარატში ჩემ დროს იყო 15 პროცენტამდე ყოფილი მენშევიკები, ესერები, ანარქისტები, ტროცკისტები და ა. შ. ზოგიერთ ოლქში, მაგალითად კრასნოიარსკის მხარეში, ირკუტსკში, დასავლეთ ციმბირში უცხო, სხვა პარტიებიდან გამოსულ პირთა, კოლჩაკოველ ოფიცერთა და სხვ. რაოდენობა გაცილებით უფრო დიდი იყო.

თავმჯდომარე ულრიხი: თქვენ არაფერი გითქვამთ თქვენს ანტისაბჭოთა კავშირ-ურთიერთობაზე საზღვარგარეთ.

ზელენსკი: მე გამოვიყენე „ცენტროსოიუზის“ საზღვარგარეთული ბიურო იმ მიზნით რომ დამეგზავნა ტენდენციური და არასწორი ინფორმაცია კოოპერაციის მდგომარეობისა, მისი საბჭოთა მთავრობასთან დამოკიდებულების შესახებ.

თავმჯდომარე ულრიხი: თქვენს ჩვენებებში არის ფრაზა: „ამ ხელმძღვანელებთან შეთანხმების დადება შესაძლო დახმარების გაწევის შესახებ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ აჯანყების შემთხვევაში“. ადასტურებთ თუ არა ამას?

ზელენსკი: ვადასტურებ.

თავმჯდომარე ულრიხი: როგორ ცდილობდით ამის გამოყენებას?

ზელენსკი: ვინმე ალექსანდერთან შეხვედრის დროს...

თავმჯდომარე ულრიხი: ვინ არის ეს ალექსანდერი?

ზელენსკი: ინგლისის კოოპერატიული პარტიის ლიდერი, რომელიც შედის მუშათა პარტიის შემადგენლობაში. მისი მგზავრობის დროს მე დავსვი საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ შეხვდებოდნენ ინგლისის კოოპერატორები, თუ საბჭოთა კავშირში ძალა-უფლებას ჩაიგდებდნენ მემარჯვენეები: რა დახმარების აღმოჩენა შეუძლიან მემარჯვენეთა მთავრობისათვის.

თავმჯდომარე ულრიხი: ალექსანდერმა ეს დახმარება შეგპირდათ, თუ თავი შეიკავა პასუხისაგან?

ზელენსკი: ალექსანდერმა განაცხადა, რომ ის მიესალმებოდა მემარჯვენეთა მთავრობის მოსვლას. რაც შეეხება დახმარებას, მან განაცხადა, რომ ინგლისის კოოპერატორებს შეუძლიათ გარანტირება ყოველ შემთხვევაში ისეთი კრედიტების და ისეთი დახმარების მიღებისა, რომელიც მიეცა საბჭოთა მთავრობას ემბარგოს დროს.

---

[*] შემოკლებული სტენოგრამა.

5 მარტის სალამოს სხდომის დღიური

სსრ კავშირის უმაღლეს სასამართლოს სამხედრო კოლეგიის 5 მარტის საღამოს სხდომა იწყება ბრალდებული იკრამოვის დაკითხვით.

იკრამოვი აჩვენებს, რომ წარსულში ის იყო ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური დაჯგუფებების წევრი, 1923 წელს ტროცკისტი იყო, 1928 წლიდან კი შევიდა არალეგალურ კონტრრევოლუციურ ნაციონალ-ფაშისტურ ორგანიზაციის „მილი ისტიკლიალის“ წევრად. ეს ორგანიზაცია ამზადებდა კადრებს ანტისაბჭოთა გამოსვლებისათვის. ამ ორგანიზაციის მონაწილეებმა მოჰკლეს მოქალაქე აბიდსაიდოვი, რომელიც სცდილობდა ნაციონალ-ფაშისტების გამომჟღავნებას უზბეკეთში.

უზბეკეთის ნაციონალ-ფაშისტები ძირს უთხრიდნენ დეჰკანთა მეურნეობას, ფუშავდნენ კოლექტივიზაციას. ისინი ლუპავდნენ ათასეულობით ტონა ბამბას, ეწეოდნენ რაიონული მშენებლობის საბოტაჟს, მავნებლობდნენ საქალაქო მეურნეობაში. ასეთი მეთოდებით ნაციონალ-ფაშისტური პროვოკატორები ფიქრობდნენ ჩამოეშორებინათ უზბეკეთის გლეხთა მასები საბჭოთა ხელისუფლებისათვის.

1933 წელს უზბეკეთში ჩამოსვლის დროს ბუხარინმა კავშირი დაამყარა იკრამოვთან კონტრრევოლუციური მუშაობის ერთად წარმოების მიზნით. ამ დროიდან უზბეკეთის ნაციონალ-ფაშისტები არსებითად „მემარჯვენე-ტროცკისტული ბლოკის“ შემადგენელ ნაწილად გადაიქცნენ. იკრამოვის განცხადებით, ბუხარინი ინსტრუქციას აძლევდა მას საჯაშუშო რაზმების მოწყობის დარგში და მავნებლობის განხორციელებისათვის.

ბუხარინი, რომელსაც პროკურორი ეკითხება, უარჰყოფს, რომ ის ინსტრუქტაჟს უწევდა იკრამოვს მავნებლობის განხორციელების შესახებ. მაგრამ იკრამოვი მოაგონებს მას ადგილსა და ვითარებას, რომელშიაც ინსტრუქტაჟი ტარდებოდა.

იკრამოვის, ბუხარინისა და ხოჯაევის ჯვარედინი დაკითხვით დასტურდება, რომ „მემარჯვენე-ტროცკისტული ბლოკის“ პირდაპირი დირექტივით უზბეკეთის ნაციონალ-ფაშისტებმა „ინგლისის ორიენტაცია“ მიიღეს, ე. ი. ინგლისის იმპერიალიზმის აგენტურად გახდნენ შუააზიის საბჭოთა რესპუბლიკებში.

ამით თავდება ბრალდებულ იკრამოვის დაკითხვა.

სახელმწიფო ბრალმდებელი ეკითხება ბრალდებულ ბესონოვს იმ მოლაპარაკების შესახებ რომელსაც უკანასკნელი „მემარჯვენე-ტროცკისტული ბლოკის“ სახელით აწარმოებდა ესერთა ემიგრაციის ნამსხვრევებთან საზღვარგარეთ. ბესონოვის ჩვენებებიდან სჩანს, რომ ესერთა ერთერთი მეთაური მასლოვი ცხოვრობს პრაღაში, სადაც განაგრძობს ანტისაბჭოთა მუშაობას და ერთსა და იმავე დროს პოლონეთის, რუმინეთის, ბულგარეთისა და სამხრეთ-სლავიის „წრეების“ ხარჯზე იმყოფება. ამავე დროს ესერების ორგანიზაცია დაკავშირებულია ჰენლეინის პარტიასთან — გერმანიის ფაშიზმის აგენტურასთან ჩეხოსლოვაკიაში და ფულს ღებულობს მისგან. მასლოვთან ბესონოვის მოლაპარაკების დროს გამოირკვა, რომ ეს გათახსირებული ესერული ნაბოლარა ორ ძირითად პირობას აყენებდა „მემარჯვენე-ტროცკისტულ ბლოკთან“ ესერების თანამშრომლობისათვის: ჯერ ერთი, ფული უცხოეთის ვალუტით; მეორე, ფული საბჭოთა ვალუტით... ესერებისათვის, და ტროცკისტების უნამუსო ხელშეკრულება ესერებთან დადებულ იქნა.

სასამართლო გადადის ბრალდებულ ბუხარინის დაკითხვაზე.

ბუხარინი უწინარეს ყოვლისა სთხოვს სასამართლოს: ნება დართონ მას გადმოუშალოს სასამართლოს „მემარჯვენე-ტროცკისტული ბლოკის“ „იდეური“ ავლა-დიდება და ამასთან „დალაგებული გადმოცემით“. თავმჯდომარე ამხ. ულრიხი ბრალდებულ ბუხარინს განუმარტავს, რომ ის სხვა ბრალდებულების თანაბრად ვალდებულია შეასრულოს საბჭოთა საპროცესო კოდექსი და ამიტომ უნდა მისცეს პასუხი თავის უშუალო მოლალატურ, ჯაშუშურ და ტერორისტულ მუშაობაზე. ამხ. ვიშინსკის კითხვების ცეცხლქვეშ ბუხარინი შემდეგ აღიარებს იმასაც, რომ „მემარჯვენე-ტროცკისტულ ბლოკს“ დადებული ჰქონდა შეთანხმებანი გერმანიის, იაპონიის, ინგლისის აგრესიულ წრეებთან სსრ კავშირის დანაწილებისა და საბჭოთა ქვეყნისაგან უკრაინის, ბელორუსიის, პრიმორიეს ჩამოცილების საფუძველზე.

— მავნებლობის თაობაზე რაღას იტყვით — აძლევს ამხ. ვიშინსკი უაღრესად პრაქტიკულ კითხვას „მემარჯვენე-ტროცკისტული ბლოკის“ ვაგლახ-თეორეტიკოსს.

და ბუხარინი სიტყვების ცრით აღიარებს, რომ ეს კონტრრევოლუციური ბლოკი ამოცანად ისახავდა მავნებლობას საბჭოთა ქვეყნის თავდაცვისუნარიანობისათვის ძირგამოთხრის მიზნით.

— დივერსიული აქტების შესახებ? ულმობლად განაგრძობს დაკითხვას სახელმწიფო ბრალმდებელი.

ბუხარინი ცდილობს თავი დაიძვრინოს და ირწმუნება, რომ მისი საქმიანობა ეხებოდა მხოლოდ „საერთო ხელმძღვანელობის პრობლემატიკას და იდეოლოგიურ მხარეს“.

ბრალდებულ ხოჯაევის დაკითხვით ბრალდება არკვევს, რომ ბუხარინი ფრიად პრაქტიკულ მითითებებს აძლევდა მავნებლობის გაძლიერებისა და საჯაშუშო რაზმების შექმნის შესახებ, რასაც არაფერი აქვს საერთო „იდეოლოგიასთან“.

ბუხარინს ენა ებმება და იბნევა, მაგრამ ის ბოლოსდაბოლოს მაინც აღიარებს, რომ „მემარჯვენე-ტროცკისტული ბლოკი“ ჰქმნიდა საჯაშუშო რაზმებს და რომ მას, ბუხარინს, პასუხისმგებლობა აწევს ამ ძირგამომთხრელი საქმიანობისათვის.

— ჰქონდა თუ არა ბლოკს გეზი აღებული ტერორისტული აქტების მოწყობაზე, პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელთა მოკვლაზე? — ეკითხება ვიშინსკი.

— ჰქონდა..

რიკოვი, რომელსაც პროკურორი ეკითხება, იძულებულია აღიაროს, რომ სერგეი მირონის-ძე კიროვის ვერაგული მკვლელობის ერთერთი ორგანიზატორი ენუქიძე „მემარჯვენე-ტროცკისტულ ბლოკში“ ამ ბლოკის მემარჯვენე ნაწილს წარმოადგენდა.

ამის შესახებ დაკითხულმა იაგოდამ განაცხადა, რომ რიკოვი და ენუქიძე მონაწილეობდნენ ცენტრის სხდომაზე, სადაც მიღებულ იქნა გადაწყვეტილება კიროვის მოკვლის შესახებ.

სახელმწიფო ბრალმდებელი ეკითხება, როგორ ამზადებდა ბუხარინი 1918 წელს ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის დაპატიმრებასა და მკვლელობას. ბუხარინი ადასტურებს, რომ ის მომხრე იყო, რათა ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი დაეპატიმრებინათ, მაგრამ უარჰყოფს, რომ ამზადებდა მის მკვლელობას და თითქმის ღმერთს იფიცავს, ასეთი შესაძლებლობა გამორიცხული იყოო.

— თქვენ გქონდათ გეგმა, რომ 1918 წელს ამხანაგი სტალინი დაგეპატიმრებინათ?—განაგრძობს დაკითხვას ამხ. ვიშინსკი.

ბუხარინი აღიარებს, რომ „მემარცხენე კომუნისტებს“ ჰქონდათ ლენინის, სტალინისა და სვერდლოვის დაპატიმრების გეგმა, მაგრამ განაგრძობს იმის უარყოფას, რომ მითითებებს იძლეოდა მათი მოკვლის შესახებ.

ბუხარინის ამ მტკიცებასთან დაკავშირებით სახელმწიფო ბრალმდებელი შუამდგომლობს სასამართლოს წინაშე გამოწვეულ იქნან მოწმეებად „მემარცხენე კომუნისტების“ ჯგუფის ყოფილი მონაწილეები იაკოვლევა, ოსინსკი, მანცევი, აგრეთვე მემარცხენე ესერების ც. კ-ის ყოფილი წევრები კარელინი და კამკოვი. სასამართლო აკმაყოფილებს ამ შუამდგომლობას.

შემდეგ ბუხარინი ლექტორის ტონით იწყებს „მემარჯვენე-ტროცკისტული ბლოკის“ მიზანდასახულობის გადმოცემას, ამასთან თავს იწონებს ჰკუამილმური ტერმინებით და იკლიკანტური სიტყვებით. ის ლაპარაკობს ურიცხვ ეგრედწოდებულ პროგრამებზე, ყბადაღებულ ბუხარინულ „სკოლკაზე“. ბუხარინი განსაკუთრებული თავმომწონეობით ხაზს უსვამს, რომ იგი კონტრრევოლუციის მესრე კი არ იყო, არამედ მისი ერთერთი ლიდერი იყო.

თავმჯდომარე განუმარტავს ბუხარინს, რომ მას საკმაო დრო ექნება, რათა ამგვარ თემებზე ილაპარაკოს თავის უკანასკნელ სიტყვაში, და წინადადებას აძლევს მას გადმოსცეს თავისი დანაშაულებრივი ანტისაბჭოთა მუშაობის ფაქტიური მხარე.

სასამართლოს სურს გამოარკვიოს, როგორ ცდილობდა ბუხარინი ჯერ კიდევ 1918 წლის აღემართა ხელი ლენინის, სტალინის, სვერდლოვის წინააღმდეგ. პროკურორი ბრალდებულს აძლევს მთელ რიგ კითხვებს, რომლებიც დაკავშირებულია ბუხარინის ყოფნასთან საზღვარგარეთ წინანდელ პერიოდში.

ბუხარინი აღიარებს, რომ ის 1912—1913 წლებში ცხოვრობდა ავსტრიაში. პროკურორი ეკითხება, ხომ არ ყოფილა იგი იქ გადაბირებული პოლიციის მიერ.

ბუხარინი ამას უარჰყოფს.

ავსტრიაში ყოფნის შემდეგ ბუხარინი დიდხანს ამერიკაში ცხოვრობდა და რუსეთს დაბრუნდა იაპონიით, სადაც რამდენიმე ხანს დარჩა.

პროკურორი ეკითხება, ხომ არ იყო იგი გადაბირებული დაზვერვის ორგანოების მიერ ამერიკაში ან იაპონიაში. ბუხარინი ისე გვაჩვენებს თავს, თითქოს ღრმად აღშფოთებულია, მაგრამ სასამართლოს თავმჯდომარე განმარტავს, რომ პროკურორის კითხვები სავსებით კანონიერია.

და მართლაც, რით შეიძლება აიხსნას, რომ ბუხარინმა, რომელიც საზღვარგარეთიდან ის-ის იყო დაბრუნდა რევოლუციურ რუსეთში, მოაწყო ფარული შეთქმულება ლენინის წინააღმდეგ. ეს კიდევ ცოტაა, მას განზრახული ჰქონდა აღემართა თავისი ბილწი ხელი მშრომელთა გენიალური ბელადის—ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის წინააღმდეგ.

სიგვიანის გამო ბუხარინის დაკითხვის განგრძობა გადააქვთ 7 მარტის დილისათვის.

შეხვედრა [illegible]

„ერმაკის“ ბორტიდან, 7 მარტი (რადიო. საკუთარი სპეცკორ.). დღეს მზიან, ნათელ, თბილ ამინდში მოვდიოდით კატეგატისა და დიდი ბელტის სრუტეებით. დაახლოებით შუადღისას ჰორიზონტზე გამოჩნდა რამდენიმე მოტორიანქნიანი ნავი, კატარღა და კაპანი. იქ იმყოფებოდნენ ჟურნალისტები, რადიოკომპანიის წარმომადგენლები, ფოტოგრაფები, კინოოპერატორები და აგრეთვე დანიის მეთევზენი, რომელთაც მოისურვეს ჩვენი სახით მიესალმებოდნენ საბჭოების ქვეყანას. ნავები სწრაფად უახლოვდებოდნენ „ერმაკს“.

რამდენიმე წუთის შემდეგ კაიუტკომპანია სტუმრებით აივსო. უკაკუნებს რეპორტიორის საწერი მანქანა, ინთება ფოტოგრაფის მაგნიუმი, თვალს არ აშორებს პაპანინელებს კინოოპერატორის ობიექტივი.

„ერმაკის“ გემბანიდან მოეწყო ჩრდილოეთის პოლუსის დამპყრობთა გამოსვლების ტრანსლაცია რადიოთი.

ქრონიკა

სსრ კავშირის მთავრობასა და გერმანიის მთავრობას შორის დიპლომატიური მოლაპარაკების შედეგად მიღწეულია შეთანხმება ახლო ხანში სსრ კავშირში გერმანიის საკონსულოებისა და გერმანიაში საბჭოთა საკონსულოების დახურვის შესახებ.

პარტკალენდარი

ლ. კეცხოველის სახელობის პროპაგანდისტისა და აგიტატორის სახლში

8 მარტს

საქ. კ. პ. (ბ) **ისტორიის კაბინეტი** — კონსულტაცია თემაზე: რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის წარმოშობა და პარტიის შიგნით ბოლშევიკებისა და მენშევიკების ფრაქციების გაჩენა (1901—1904 წ. წ.). კონსულტანტი ქართულ ენაზე ამხ. სიმონიშვილი. დასაწყისი საღამოს 7 საათზე.

ლენინიზმის კაბინეტი — კონსულტაცია თემაზე: ლენინისა და სტალინის მოძღვრება ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესახებ. კონსულტანტი ქართულ ენაზე ამხ. ბოჯაძე. დასაწყისი საღამოს 7 საათზე.

აგიტაციის კაბინეტი — კონსულტაცია თემაზე: ესპანელი ხალხის ბრძოლა იტალია-გერმანიის ფაშისტ ინტერვენტთა და მათ დაქირავებულთა წინააღმდეგ. კონსულტანტები ქართულ ენაზე ამხ. ლარცულიანი, რუსულ ენაზე — ამხ. პაჟინსკი. დასაწყისი საღამოს 7 საათზე.

ალკკ კაბინეტი — კონსულტაცია თემაზე: „სოციალიზმი და კომუნიზმი“. კონსულტანტი რუსულ ენაზე ამხ. დაისი. დასაწყისი 7 საათზე.

* * *

8 მარტს, საღამოს 7 საათზე, საქ. კ. პ. (ბ) თბ. ორგ. ლენინის რაიკომის პარტკაბინეტში აგიტატორთათვის ქართულ და რუსულ ენებზე შედგება კონსულტაცია თემაზე: „საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების შესახებ“.

* * *

8 მარტს, საღამოს 7 საათზე, საქ. კ. პ. (ბ) თბ. ორგ. სტალინის რაიკომის პარტკაბინეტის სახლში აგიტატორებისა და პარტიულ-კომკავშირული აქტივისათვის ქართულ ენაზე შედგება მოხსენება თემაზე: „20 წლისთავი საბჭოთა ხელისუფლების დეკრეტისა სახელმწიფოსაგან ეკლესიის გამოყოფის შესახებ და ანტირელიგიური პროპაგანდის ამოცანები“. მომხსენებელია ამხ. სახაროვი.

* * *

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-თან არსებული პარტკონტროლის კომისიის პარტკოლეგია საქართველოში წინადადებას აძლევს ტ. ო. კირესელიძეს სამი დღის ვადაში გამოცხადდეს პარტკოლეგიაში ამხ. ბ. საყვარელიძესთან (ძერჟინსკის ქ. № 8).

* * *

საქ. კ. პ. (ბ) თბ. ორგანიზაციის ლენინის რაიკომი წინადადებას აძლევს ვასილ თევდორეს-ძე ჯანგიშერაშვილს სამი დღის ვადაში გამოცხადდეს ლენრაიკომში.

საკუთარ კორესპონდენტთა თათბირი

12 მარტს „კომუნისტის“ რედაქცია იწვევს საკუთარ კორესპონდენტთა რესპუბლიკურ თათბირს.

თათბირზე უნდა გამოცხადდნენ შემდეგი ამხანაგები: ე. გვასალია (ქუთაისი), გ. მერკვილაძე (სოხუმი), ზ. მელიქია (ფოთი), მ. გაფრინდაშვილი (ჭიათურა), ვ. ტაბიძე (სამტრედია), ი. მოისწრაფიშვილი (ლანჩხუთი), გრ. გეგენავა (ცხაკაია), ვ. გოგიაშვილი (ზესტაფონი), გ. ყრუაშვილი (ცაგერი), გრ. ლომიძე (ბორჯომი), ს. ყურაშვილი (თელავი), ს. ებრალიძე (ზუგდიდი), დ. ბატიაშვილი (ლაგოდეხი), შ. გაფრინდაშვილი (ყვარელი), ლ. მახარაძე (მახარაძე).

თათბირი მოწვეულია რედაქციის შენობაში დღის 12 საათზე. დასახელებულ ამხანაგებს ევალებათ — 12 მარტს დილით იყვნენ თბილისში.

პ.-მგ. რედაქტორის მოადგილე ვ. ხატიაშვილი.

მარჯანიშვილის სახელობის თეატრი
8/III შური წარმ. № 117.
9/III შური წარმ. № 118.
დასაწყისი 8 საათზე.
სალარო ღიაა დილ. 12-დან საღ. 9 საათ.

რუსთაველის სახ. ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი 1938 წ. სეზონი
8/III წარმ. № 117 ოთელო
9/III წარმ. № 118 ნაპერწკლიდან
10/III წარმ. № 119 ნაპერწკლიდან
სალარო ღიაა 12 საათიდან 9 საათამდე. დასაწყ. 8 საათზე.

ა. დ. ქლენზი
შინაგანი სნეულებანი. სპეციალურად კუჭ-ნაწლავების სნეულებათა გამოკვლევა-მკურნალობა. მიღება ყოველდღე 7—8 ს. ოთხშაბათობით უფასოდ.
მისამართი: წყნეთის ქ. № 8 17278

თბილისის ზ. პ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი
8/III მუდმ. ადგ. ტალ. № 126 ერთდრ. ბილეთის სერია № 3 რიგოლეტო
9/III მუდმ. ადგ. ტალონი № 127 ერთდრ. ბილეთის სერია № 4 აბესალომ და ეთერი
10/III მუდმ. ადგ. ტალ. № 128 ტოსკა
დასაწყისი საღ. 8 საათზე
მუდმივი ადგილების გადასახადი მთლიანად უნდა იყოს დაფარული მარტში

სახცირკი. ტელ. 3-11-44
დღეს, 8 მარტს ცირკის წარმოდგენა მრავალფეროვანი პროგრამით
მონაწილეობს ცირკის მთელი დასი. დასაწყისი 8 ს. 30 წ.
სალარო 1-დან 2 ს-დე და 5 საათიდან.
12 მარტს წარმოდგენა დღისით, დასაწყ. დღ. 2 ს.
ამ დღეებში გაიხსნება ფრანგული ჭიდაობის მატჩები.

მისამართი, რედაქციის — თბილისი, რუსთაველის პროსპ. № 16, გამომცემლობის — რუსთაველის პროსპექტი № 34; ტელეფონები: სამდივნოსი: 3—06—88, განყოფილებებისა: პარტიულის—3—57—61, სასოფლო-სამეურნეოს — 3—73—40. მშრომელთა წერილების — 3—73—24; პ.-მგ. მორიგის—3—26—67, გამომცემლობის—3—51—81; სტამბის დირექტორის — 3—27—04. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის გამომცემლობის, ს. თოდრიას სახ. სტამბა „კომუნისტი“, თბილისი, კამოს ქ. № 68.
მთავლიტის რწმუნებული 1452